

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

მარიამ გვარუციძე



ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

მოდული: ბუღალტრული აღრიცხვა და აუდიტი

სამაგისტრო ნაშრომი:

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების

პრინციპები სს ჰოსპიტალის მაგალითზე

ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი

ნადეჟდა კვატაშიძე

## ანოტაცია

ბიზნეს საქმიანობაში ხშირია შემთხვევები, როდესაც კომპანიები კონსოლიდაციას არჩევენ. ამის ძირითადი მიზეზი ხშირად კომერციული ხასიათისაა. კონსოლიდაციის საშუალებით ისინი ზრდიან გაყიდვებს, მეტად ეფექტურად იყენებენ აქტივებს და სარგებლობენ დადებითი გუდვილით, საბოლოოდ კი იმყარებენ ფინანსურ მდგომარეობას ბაზარზე. ყოველივე ამის აღსაწერად და გასაანალიზებლად დაცული უნდა იყოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის შესაბამისობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. სწორედ ამიტომ ნაშრომში მოკლედაა მიმოხილური ფინანსური ანგარიშგების მომზადების არსი და ძირითადი საფუძვლები, ასევე განხილულია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების ფუნდამენტური დაშვებები.

მოცემული ნაშრომის მთავარი მიზანია, წარმოაჩინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და დაგვანახოს მისი მომზადების უმთავრესი საკითხები. ნაშრომის პირველ ნაწილში ჩამოყალიბებულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცედურები და დანიშნულება. ყურადღება გამახვილებულია ისეთ საკითხებზე, როგორცაა კონსოლიდაციისას წარმოქმნილი აქტივების, ვალდებულებებისა და გუდვილის აღიარება და შეფასება, არამაკონტროლებელი წილისა და ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების განსაზღვრა. ნაშრომში ასევე აღწერილია შიდაჯგუფურ ოპერაციებთან და ინვესტიციებთან დაკავშირებული საკითხები.

ნაშრომის მოერე ნაწილი უშუალოდ ეთმობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მომზადების პრინციპების შესაბამისობას ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან. პრაქტიკული მაგალითის მიხედვით წარმოდგენილია თუ რატომ და როგორ ახდნეს ქართულ ბაზარზე აქტიურად მოქმედი კომპანია საკუთარი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების

მომზადებასა და წარდგენას, რამდენად ითვალისწინებს ის, როგორც მშობელი კომპანია, კონსოლიდაციის პრინციპებს თავის ანგარიშგებებში.

## **Anotation**

### **Mariam Gvarutsidze**

The essence and preparing principles of consolidated financial statements

(on the example of Hospital JSC )

There are frequent cases in business activity when the companies choose consolidation. The main reason of this often has the commercial ground. Through consolidation they increase the sales, use efficiently the assets and enjoy a positive goodwill and finally establish their financial positions in the market. For filing and analyzing all this, the compliance of preparation and submission of consolidated financial statements with the international standards of the financial statements must be observed. For this reason this work briefly considers the essence and fundamental assumptions of preparation of financial statements as well as those of the consolidated financial statement.

The main purpose of this work is to present the essence of consolidated financial statements and highlight the main issues of their preparation. The first part of the work deals with the purpose and procedures of preparation of consolidated financial statement. The issues such as: recognition and evaluation of the acquired assets, liabilities and goodwill arisen during the consolidation, identifying the non-controlling interest/share and unshared profit of the group are focused on. The work also describes the issues related to internal group operations and investments.

The second part of the work is directly related to the compliance of the principles of preparation consolidated financial statements with the international standards of financial reporting. A practical example shows why and how the company, actively operating in the Georgian market, carries out the preparation and submission of its own consolidated financial statements and how it considers as a parent company, the principles of consolidation in its statements.

## შინაარსი

ანოტაცია.....	2
შესავალი.....	5
<b>თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები .....</b>	<b>7</b>
1.1.კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და დანიშნულება.....	7
1.2.კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები.....	10
<b>თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სს ჰოსპიტალის მაგალითზე</b>	
2.1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	48
2.2. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება.....	67
2.3. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	78
დასკვნა.....	88
<b>გამოყენებული ლიტერატურა.....</b>	<b>90</b>

## შესავალი

**თემის აქტუალობა:** კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსოფლიო გლობალიზაციასთან ერთად სულ უფრო და უფრო აქტუალური თემა ხდება. საქართველო დღითი-დღე უახლოვდება მსოფლიო პრაქტიკას და სტანდარტებს, ამიტომ ეს თემა საკმაოდ მნიშვნელოვანია. კომპანიები მოგების გაზრდის მიზნით ირჩევენ კონსოლიდაციას, ზოგადად მიიჩნევა, რომ კონსოლიდაციის საშუალებით მიიღწევა სინერგია, ანუ უპირატესობა ერთობლივი საქმიანობის შედეგად. იმ პროცესების და მოვლენების აღსაწერად, რომელიც კონსოლიდაციას მოსდევს აუცილებელია გავიაზროთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები.

**მიზანი:** კომპანიებს, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებულნი არიან და ერთმანეთში აბანდებენ ინვესტიციებს, აინტერესებთ, თუ რა ქონებას ფლობენ, როგორია მათი ფინანსური მდგომარეობა, რამდენადაა შეფასებული მათი მაკონტროლებელი და არამაკონტროლებელი წილები. ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები საწარმოს ერთიანი ფინანსური სურათით ინტერესდებიან. წინამდებარე ნაშრომი ეხება საერთო ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და წარდგენას დაინტერესებული მხარეებისთვის, პირველ რიგში კი ინვესტორებისთვის, რომლებისთვისაც წარდგენილი ანგარიშგებების შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან და მასში ასახული ფინანსური შედეგი, როგორც წესი, უპირველეს გავლენას ახდენს განსახორციელებელი ინვესტიციების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაზე. ნაშრომის მიზანიც სწორედ იმის ჩვენებაა, თუ რა არის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ვისთვის და როგორ მზადდება ის. ამ მიზნის მისაღწევად კი ნაშრომში გამოკვლეულია რეალური კომპანია და ნაჩვენებია, თუ რამდენად ზედმიწევნით იცავს ის კონსოლიდირებული ანგარიშგებების მომზადების პრინციპებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარმოდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის. კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად დამატების სახით წარედგინება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება (ინვესტორის - მშობელი საწარმოს, მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივად კონტროლირებადი საწარმოს სრულუფლებიანი მონაწილის მიერ წარდგენილი ანგარიშგება).

**კვლევის ობიექტია** საქართველოს ბაზარზე აქტიურად მოქმედი საავადმყოფო დაწესებულება- სს ჰოსპიტალი, რომელიც, ისევე როგორც თვითონ არის შვილობილი კომპანია, ასევე ათამდე შვილობილ და ერთ მეკავშირე კომპანიას ითვლის.

**საკვლევი საგანი:** ნაშრომში განხილულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების როგორც ძირითადი პრინციპები და არსი, ისე კონსოლიდაციისას წარმოქმნილი მოთხოვნების, პირობითი და უპირობო ვალდებულებების, მატერიალური და არამატერიალური საშუალებების აღიარება და შეფასება, ასევე ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორცაა შიდაჯგუფური ოპერაციები, ინვესტიციები, საწარმოთა არამაკონტროლებელი წილის და გუდვილის აღიარება და შეფასება, ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების განსაზღვრა.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები:** ნაშრომში - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები“ გამოყენებულია ის საერთაშორისო სტანდარტები და მითითებები, რომლებიც არეგულირებენ ამ საკითხებს. მაგალითად, როგორცაა ფასს10 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, რომლის მიზანია, განსაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს.

ნაშრომში განხილული საწარმოს მაგალითზე წარმოჩენილია კონსოლიდაციისას წარმოქმნილი საკითხები და მათი ასახვის გზები. ნაჩვენებია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები, კერძოდ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, მოგება-ზარალისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგება.

ნაშრომი დასაბუთებულად წარმოაჩენს ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითს.

# თავი 1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და მომზადების პრინციპები

## 1.1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და დანიშნულება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის საწარმოთა ჯგუფის ფინანსური ანგარიშგება, რომელშიც მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები წარდგენილია, როგორც ერთი ეკონომიკური სუბიექტის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯები და ფულადი ნაკადები<sup>1</sup>. ხშირად, საწარმოთა ჯგუფს შიგნით ხორციელდება ისეთი მოქმედებები, რომლების ჯგუფის საერთო სურათს არ ცვლის, თუმცა სახეს უცვლის ცალკეული საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანია ჯგუფის მდგომარეობა გვიჩვენოს ისე, თითქოს იგი ერთი მთლიანი სამეურნეო ერთეულია. ამიტომ, მხოლოდ მთლიანად ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებას შეუძლია საუკეთესოდ წარმოადგინოს ჯგუფის საქმიანობის შედეგები და დაგვანახოს ობიექტური ინფორმაცია, სადაც ჯგუფი იქნება წარდგენილი როგორც ერთი სამეურნეო ერთეული.

თუ შეძენილია საწარმოს 50 % - ზე მეტი წილი და მოპოვებულია კონტროლის უფლება, მაშინ საქმე გვაქვს „მშობელი-შვილობილი“ საწარმოს ურთიერთობებთან, სადაც მშობელი საწარმოა ის, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს, ხოლო შვილობილი კი კონტროლდება მშობელი საწარმოს მიერ. მშობელი ისეთი საწარმოა, რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. მიუხედავად იმისა, რომ შვილობილ საწარმოს აკონტროლებს სხვა საწარმო, ის მაინც არ კარგავს თავის იურიდიულ დამოუკიდებლობას და რჩება დამოუკიდებელ

<sup>1</sup> ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. დანართი ა.

იურიდიულ პირად აქციების გარკვეული პაკეტით შემძენ საწარმოსთან. მშობელი და შვილობილი საწარმოები არიან ურთიერთდამოკიდებული მხარეები და ერთად წარმოადგენენ საწარმოთა ჯგუფს.

ჯგუფის შიგნით ხშირად ხდება ისეთი ოპერაციები, რომლებიც ცალკეული საწარმოს ფინანსურ შედეგზე მოქმედებს, თუმცა მთლიანად ჯგუფის შედეგს არ ცვლის. ამგვარმა ოპერაციებმა არ უნდა დაამახინჯოს ჯგუფის ერთიანი სურათი. სწორედ ამგვარი ოპერაციები და მოვლენები უნდა გამოვლინდეს და ელიმინირდეს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებიდან.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების საშუალებით ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს ეძლევათ დასაბუთებული და ობიექტური გადაწყვეტილების მიღების საშუალება. ანგარიშგების შემდგენელმა უნდა გაითვალისწინოს ყველა დაინტერესებული მხარის ინტერესები, რომ მათი მოთხოვნები დააკმაყოფილოს. პირველ რიგში, ყურადღება აქციონერთა ინტერესს უნდა დაეთმოს, რადგან, უპირველესად, სწორედ მათთვის მზადდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგების მეშვეობით აქციონერები აკონტროლებენ კომპანიის რენტაბელობას და ზოგადად საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, უნდა მოიცავდეს, როგორც მშობელი, ისე მისი დაქვემდებარების ქვეშ არსებული ერთეულების ფინანსურ მონაცემებს. თუმცა კონსოლიდაციაში არ იგულისხმება ამ ფინანსური მონაცემების უპირობო ჯამი. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ბევრი დეტალია გასათვალისწინებელი. გამოყოფენ კონსოლიდაციის სამ მეთოდს:

- 1.სრული კონსოლიდაცია
- 2.პროპორციული კონსოლიდაცია
- 3.კაპიტალ-მეთოდი

ჯგუფში შემავალი ყველა საწარმო ამზადებს თავის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელთა საფუძველზე მშობელი საწარმო ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. ჯგუფის ყველა საწარმოს ანგარიშგება ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღით და სააღრიცხვო პოლიტიკით უნდა იყოს მომზადებული, წინააღმდეგ შემთხვევაში ინფორმაცია არ იქნება თავსებადი და ჯგუფის დამახინჯებულ სურათს მივიღებთ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იურიდიული შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების გაგრძელებაა, გარდა მისი კაპიტალის სტრუქტურისა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს: ა) იურიდიული შვილობილი საწარმოს (სააღრიცხვო მყიდველი საწარმოს) აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია მათი გაერთიანებამდელი საბალანსო ღირებულებებით; ბ) სააღრიცხვო შეძენილი საწარმოს აქტივებსა და ვალდებულებებს, რომლებიც აღიარებული და შეფასებულია ფასს 3-ის შესაბამისად; გ) იურიდიული შვილობილი საწარმოს (სააღრიცხვო მყიდველი საწარმოს) გაუნაწილებელ მოგებას და საკუთარი კაპიტალის სხვა ნაშთებს საწარმოთა გაერთიანებამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის ანგარიშგების მომზადების ყველაზე გავრცელებული ფორმა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანია გვიჩვენოს ჯგუფის მდგომარეობა, ისე თითქოს იგი ერთი მთლიანი სამეურნეო ერთეულია. ამ მიზნის მისაღწევად მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივი და ვალდებულება აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში; ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი აისახება კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში; ხოლო ყველანაირი „სხვა სრული შემოსავალი“ აისახება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

## 1.2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

### ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პრინციპები უნივერსალური საფუძველია ყველა ტიპის საწარმოს ფინანსური ინფორმაციის სრულყოფილი და სამართლიანი მომზადებისთვის, მათ შორის კი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის. ეს პრინციპებია:

1. პროფესიული განსჯის პრინციპი
2. რეალური ღირებულების კონცეფცია
3. გაუფასურების კონცეფცია
4. ფულის დროითი ღირებულების კონცეფცია
5. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი
6. ოპერაციის ეკონომიკური შინაარსის იურიდიულ ფორმაზე უპირატესობა

*პროფესიული განსჯა* გულისხმობს პროფესიული მსჯელობების გამოყენებას განუსაზღვრელობისა და არასტანდარტულ პირობებში აღრიცხვის და ანგარიშგების საკითხებთან დაკავშირებული მოსაზრებების ჩამოყალიბებისას, ანუ პროფესიული განსჯა არის სპეციალისტის მოსაზრება (შეფასება, დასკვნა). პრაქტიკაში ხშირად ხდება ისეთი ოპერაციები, რომელთა გაწერა და გათვალისწინება ვერ ხერხდება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებსა (ფასს-ი) და მის კომენტარებში, ამიტომ ასეთი სიტუაციებისათვის ფასს-ი მოითხოვს პროფესიული განსჯის პრინციპის გამოყენებას. ბასს 8 "სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები" (პ.10)<sup>2</sup> მოითხოვს, რომ იმ შემთხვევაში, თუ არ არსებობს სტანდარტი ან ინტერპრეტაცია, რომელიც სპეციალურად მოცემული ოპერაციის, სხვა მოვლენის ან გარემოებისათვის გამოიყენება, ხელმძღვანელობამ უნდა იმსჯელოს სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავებისა და გამოყენებისას. სააღრიცხვო პოლიტიკა არის გარკვეული პრინციპების, საფუძვლების, დაშვებების,

<sup>2</sup>ბასს 8 - „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები“, 2015წ;

წესებისა და პრაქტიკული მეთოდების ერთობლიობა, რომლებიც გამოიყენება საწარმოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის დროს. განუსაზღვრელობა კი არის ინფორმაციის (ცნობების, მონაცემების) უკმარისობა იმ პირობების შესახებ, რომელშიც განვითარდება სამეურნეო საქმიანობა (ბიზნესი), ამ პირობების წინასწარ განჭვრეტის, წინასწარხედვის დაბალი დონე. განუსაზღვრელობები გვხვდება საწარმოთა გაერთიანების დროსაც. ის დაკავშირებულია დაგეგმვის, გადაწყვეტილების მიღების, მართვის ყველა დონეზე ქმედების განხორციელების რისკთან. პროფესიული განსჯის დროს აუცილებელია საწარმოს სამართლებრივი ფორმის საკითხის გათვალისწინება. განსჯის პრინციპი გამოიყენება აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი და შემდგომი შეფასების დროს.

*რეალური ღირებულება* გამოიყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებებისათვის, რომელთა ასახვა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით სავალდებულოა ან ნებადართულია ბალანსსა ან განმარტებით შენიშვნებში. ესენია:

- არაფინანსური აქტივები;
- ფინანსური ინსტრუმენტები (ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები);
- საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტები.<sup>3</sup>

ფასს 13-ის „რეალური ღირებულების შეფასების“ თანახმად, რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელიც იქნებოდა მიღებული ან გადახდილი აქტივის გაყიდვიდან ან ვალდებულების გადაცემისას, ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღისათვის ნებაყოფლობით განხორციელებული ოპერაციის დროს ძირითად (ან ყველაზე ხელსაყრელ) ბაზარზე, შეფასების თარიღისთვის, მიმდინარე საბაზრო პირობებში (ე.ი. გასვლის ფასი), იმის მიუხედავად, ეს ფასი უშუალოდ დაკვირვებადია (ემპირიულია), თუ გამოითვლება შეფასების სხვა მეთოდის

---

<sup>3</sup>კორპორაციული ანგარიშგება, კვატაშიძე. ნ, თბილისი 2018, გვ.12

გამოყენებით<sup>4</sup>. ანუ რეალური ღირებულება არის აქტივის გასვლის/ გაყიდვის ფასი. რეალური ღირებულება არის ის თანხა, რომელზეც შეიძლება აქტივი გაიყიდოს ან რომლითაც შეიძლება ვალდებულება დაიფაროს, ურთიერთდამოუკიდებელ, დაინტერესებულ და საქმის მცოდნე მხარეებს შორის. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად საკმარისია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ მათი ღირებულება არის დაკვირვებადი. ზოგიერთი აქტივისა და ვალდებულების რეალური ღირებულების დასადგენად შეუძლებელია დაკვირვება საბაზრო გარიგებებზე ან საბაზრო ინფორმაციაზე, ანუ არ არის დაკვირვებადი. სტანდარტი რეკომენდაციას იძლევა, რომ რეალური ღირებულების განსაზღვრის მეთოდებად გამოყენებულ იქნეს შეფასების ის მეთოდები და ტექნიკა, რომელიც ყველაზე მეტად არის შესაფერისი კონკრეტული ვითარებისათვის და რომლისთვისაც არსებობს საკმარისი ინფორმაცია. იგი იძლევა საშუალებას მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული დაკვირვებადი მონაცემები და მინიმალურად არადაკვირვებადი ინფორმაცია.

*გაუფასურების კონცეფციის* თანახმად აქტივების ღირებულება დროთა განმავლობაში იკლებს, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ტექნოლოგიური პროგრესით, ასევე მორალური ცვეთითა და მატერიალური დაზიანებით. ამის შედეგად მცირდება ამ აქტივების სარგებელი. რადგან საბალანსო ღირებულება მათგან მიღებულ სარგებელს უნდა ასახავდეს, ამიტომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საწარმომ უნდა განსაზღვროს, არსებობს თუ არა მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. და თუ არსებობს, მაშინ საწარმო ვალდებულია ჩაატაროს ტესტირება აქტივების გაუფასურებაზე. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი მინიშნება შეიძლება არ არსებობდეს, ბასს 36 მაინც ავალდებულებს საწარმოს ყოველწლიურად შეამოწმოს 1. განუსაზღვრელი მომსახურების ვადის მქონე და ჯერ გამოუყენებადი არამატერიალური აქტივები და 2. საწარმოთა გაერთიანებასთან

---

<sup>4</sup> ფასს 13 – „რეალური ღირებულების შეფასება“, 2015წ, გვ.4.

დაკავშირებით წარმოშობილი გუდვილი გაუფასურებაზე. გაუფასურების კონცეფციით აქტივები გაუფასურებულია, თუ საწარმო ვერ ამოიღებს აქტივების საბალანსო ღირებულებას მათი გამოყენებით ან გაყიდვით. არ შეიძლება აქტივების გადაჭარბებულად ან შემცირებულად შეფასება. ამისათვის აქტივები უნდა შემოწმდეს გაუფასურებაზე.

*ფულის დროითი ღირებულების* თეორიის საფუძველია, ის ,რომ ფულის ღირებულება დღეს უფრო მაღალია, ვიდრე მომავალში მისაღები ფულის იგივე რაოდენობა. ფულმა უნდა გამოიმუშავოს შემოსავალი (პროცენტი) და ამიტომ დღევანდელი ფული უფრო ფასეულია, ვიდრე მომავალი, რადგან ახლანდელი ფული უკვე იწყებს დამატებითი ფულის გამოიმუშავებას, მომავალი ფული კი ხშირად ინფლაციისკენ მიდის. ფინანსურ გარიგებებში, ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, გაითვალისწინება ფულის დროითი ღირებულების ფაქტორი და სხვადასხვა პერიოდების ფულადი ნაკადები კორექტირებებით გადაიყვანება ერთ რომელიმე პერიოდში: მომავალში ან დღევანდელში. კერძოდ, დისკონტირების კოეფიციენტების გამოყენებით ხდება გადინებული (ინვესტირებული) და შემოდინებული ფულადი ნაკადების(ინვესტიციიდან მიღებული შემოსავალის) გადაყვანა ერთ პერიოდში.

მომავალი ფულადი ნაკადების ღირებულება მნიშვნელოვნად განსხვავდება მათი ნომინალური ღირებულებისგან, ამიტომ ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი მოითხოვს მათ დისკონტირებას, რომელიც უნდა მოხდეს *ეფექტური საპროცენტო განაკვეთით*. დისკონტირება გავლენას ახდენს აღრიცხვის ობიექტის საბალანსო ღირებულებაზე და შესაბამისად ცვლის საწარმოს ფინანსურ შედეგს. კერძოდ, აწონასწორებს აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულებას და მომავალში გადასახდელ (მისაღებ) ფულად ნაკადებს. მისი გამოყენებით გაიანგარიშება აქტივების (ვალდებულებების) საბალანსო ღირებულება მომავალში გადასახდელი (მისაღები) ფულადი ნაკადების მიხედვით. ბანკის მიერ დეკლარირებული (ნომინალური) საპროცენტო განაკვეთი განსხვავდება მსესხებლის

მიერ ფაქტობრივად გადასახდელი ძირითადი და საპროცენტო თანხისაგან და ითვალისწინებს დამატებით თანხების გადახდას. ეს არის სესხის დამტკიცებისა და მომსახურების სხვადასხვა საკომისიო თანხები: სესხის მიღების; საანგარიშსწორებო ოპერაციების წარმოების; გირავნობით გადაცემული ქონების შეფასების; სახელმწიფო რეგისტრაციის; დაზღვევის; სესხის გაცემის და სხვა.ამდენად, მსესხებელი რეალურად იხდის ნომინალურ განაკვეთზე მეტს და საჭირო ხდება რეალური საპროცენტო განაკვეთის დადგენა, ანუ წლიური საპროცენტო განაკვეთის ყველა გადასახადების გათვალისწინებით. ასეთი რეალური საპროცენტო განაკვეთია ეფექტური საპროცენტო განაკვეთი<sup>5</sup>.

*შინაარსის ფორმაზე აღმატებულობა* გულისხმობს, რომ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური შინაარსის მიხედვით განიხილება მაშინაც კი, თუ მისი იურიდიული ფორმა სხვას ითვალისწინებს. როდესაც ოპერაცია აისახება მხოლოდ იურიდიული ფორმის და არა შინაარსის მიხედვით, შესაძლებელია ბალანსში ვერ აისახოს ყველა აქტივი და ვალდებულება. შემოწმების შესაძლებლობა უზრუნველყოფილი უნდა იყოს აღრიცხვის სწორად შერჩეული და გამოყენებული მეთოდით, რათა საწარმოს საქმიანობა საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ადეკვატურად იქნას ასახული. თუ დამოუკიდებელი მესამე პირი, ფინანსური დოკუმენტების შესწავლის შედეგად ანგარიშგებაში ასახულისაგან განსხვავებულ შედეგებს მიიღებს, ითვლება, რომ ანგარიშგება შემოწმებადობის კრიტერიუმებს ვერ აკმაყოფილებს. მაშასადამე, ფინანსური ანგარიშგება უნდა მოიცავდეს არა მხოლოდ სამართლებრივი ფორმის, არამედ ეკონომიკური რეალობის ამსახველ ინფორმაციას.

სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები, ადგენს ინფორმაციის ისეთ სახეებს, რომელიც, სავარაუდოდ, ყველაზე მეტად სასარგებლოა არსებული და პოტენციური ინვესტორებისთვის, გამსესხებლებისა და სხვა კრედიტორებისთვის, ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ გადაწყვეტილებების

---

<sup>5</sup> კვატაშიძე.ნ, კორპორაციული ანგარიშგება, თბილისი 2018, გვ.33

მისაღებად მათ ფინანსურ ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაციის (ფინანსური ინფორმაციის) საფუძველზე<sup>6</sup>. თუ ანგარიშგება აკმაყოფილებს ხარისხობრივ მოთხოვნებს, მაშინ ის უადვილებს აქციონერს მასზე დაყრდნობით მიიღოს გადაწყვეტილება და სარგებელი მოუტანოს მის მომხმარებელს. კონცეპტუალურ საფუძვლების მიხედვით გამოიყოფა შემდეგი ძირითადი ხარისხობრივი მახასიათებლები:

- შესაბამისობა
- სამართლიანი წარდგენა

ასევე გამოიყოფა ის ხარისხობრივი მახასიათებლები, რომლითაც მაღლდება ფინანსური ინფორმაციის სარგებლიანობა, ესენია შესაძარისობა, შემოწმებადობა, დროულობა და აღქმადობა. თუ კი ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპი და ფუნდამენტური მახასიათებელი იქნა დაცული, მაშინ ფინანსური ანგარიშგებაში არსებული ინფორმაცია მომხმარებლებს საწარმოს წარსული, მიმდინარე და მომავალი საქმიანობის შეფასების საშუალებას მისცემს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპების გარდა კიდევ ერთი ემატება, ესაა კონტროლის კონცეფცია. კონტროლის კონცეფცია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისათვის ძირეულია, ანუ კონტროლი არის კონსოლიდაციის საფუძველი.

#### • კონტროლი

ზოგადად, საწარმოთა გაერთიანებისას ერთ-ერთი სამეურნეო ერთეული უნდა განისაზღვროს როგორც მყიდველი. მყიდველმა საწარმომ შექმნილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება აიღოს სხვადასხვა გზით, მაგალითად: ა) ფულადი სახსრების, ფულის ეკვივალენტების ან სხვა აქტივების (მათ შორის, წმინდა აქტივების, რომლებიც აფუძნებს საწარმოს) გადაცემით; ბ) ვალდებულებების აღებით; გ) აქციების ემისიით; დ) ერთზე მეტი სახეობის კომპენსაციის გადაცემით; ან ე)

---

<sup>6</sup>ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, თბ., 2015, ხმ1.

კომპენსაციის გადაცემის გარეშე, მათ შორის, გაერთიანება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. მყიდველი იგივე ის ერთეულია, რომელიც კონტროლს იღებს შეძენილ საწარმოზე. მყიდველის დასადგენად, გამოყენებულ უნდა იქნეს ფასს 10-ის სახელმძღვანელო მითითებები. ფასს 10 მოითხოვს, რომ ინვესტორმა, მიუხედავად მისი მონაწილეობის ხასიათისა ამა თუ იმ საწარმოში (ინვესტირებული საწარმო), უნდა დაადგინოს, წარმოადგენს თუ არა ის მშობელ საწარმოს, რისთვისაც უნდა შეაფასოს, აკონტროლებს თუ არა ის ინვესტირებულ საწარმოს. ინვესტორი მხოლოდ და მხოლოდ მაშინ აკონტროლებს ინვესტირებულ საწარმოს, თუ ინვესტორს გააჩნია ყველაფერი ქვემოთ ჩამოთვლილი:

- ა) უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით
  - ბ) ექვემდებარება რისკებს, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებულ საწარმოში მისი მონაწილეობიდან ცვალებადი შემოსავლების მიღებასთან, ან გააჩნია ინვესტირებული საწარმოდან ცვალებადი შემოსავლების მიღების უფლება
  - გ) შესაძლებლობა იმისა, რომ ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით მინიჭებული უფლებამოსილება გამოიყენოს თავისი შემოსავლების ოდენობაზე გავლენის მოხდენის მიზნით
- ანუ გამოიყოფა სამი ფაქტორი - უფლებამოსილება, შემოსავლები და რისკები.

ინვესტორს მაშინ გააჩნია უფლებამოსილება ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით, როდესაც მას აქვს მოქმედი უფლებები, რომლებიც მიმდინარე მომენტში რელევანტური საქმიანობების მართვის შესაძლებლობას აძლევს. რელევანტურია ის საქმიანობები, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინვესტირებული საწარმოს შემოსავალზე.

<b>მართვის უფლებამოსილება :</b>
ხმის უფლებები
სახელშეკრულებო უფლებები
პოტენციური ხმის უფლებები

უფროსი მმართველი პერსონალის დანიშვნის უფლება
მართვის ხელშეკრულების ჩარჩოებში გადაწყვეტილების მიღების უფლება
მართვიდან განთავისუფლების უფლება

უფლება და უფლებამოსილება განსხვავებული ცნებებია, უფლებამოსილება სწორედ უფლებიდან წარმოიშობა. უფლებამოსილების დადგენა ადვილია მაშინ, როცა, მაგალითად, ინვესტირებულ საწარმოსთან მიმართებით უფლებამოსილების მოპოვება ხდება პირდაპირ და მხოლოდ და მხოლოდ წილობრივი ინსტრუმენტებით მინიჭებული ხმის უფლებებით, როგორცაა აქციები და მისი არსებობის დადგენა (შეფასება) შესაძლებელია აქციების ფლობით განპირობებული ხმის უფლებებით. სხვა შემთხვევაში, შეიძლება უფრო რთული იყოს უფლებამოსილების დადგენა და საჭირო გახდეს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, მაგალითად, როდესაც უფლებამოსილება წარმოიქმნება ერთი ან რამდენიმე სახელშეკრულებო შეთანხმებიდან.

შემოსავლები და მასთან დაკავშირებულ რისკები თავის მხრივ უფლებამოსილებასთანაა კავშირში, რადგან ინვესტორს აქვს კონტროლის უფლება საინვესტიციო ობიექტზე არა მხოლოდ მაშინ, როდესაც მას საინვესტიციო ობიექტის არსებითი საქმიანობისადმი გააჩნია უფლებამოსილება და საინვესტიციო ობიექტში მონაწილეობით ექვემდებარება ცვალებადი შემოსავლის მიღების რისკებს, არამედ გააჩნია შესაძლებლობა გამოიყენოს თავისი უფლებამოსილება ინვესტორის შემოსავალზე გავლენის მოხდენის მიზნით, ანუ ინვესტორი ექვემდებარება რისკებს და თანაც აქვს შესაძლებლობა მათი მართვის. რისკის მართვა ნებისმიერი ეკონომიკური პროცესის აუცილებელი და შეუდგენელი ნაწილია, რადგან რისკის ზომა გავლენას ახდენს ინვესტორის, ორგანიზაციის შემოსავლებთან. რისკის მართვის მიზანია ორგანიზაციაზე მოქმედ საფრთხეებზე აქტიური კონტროლი. იგი საშუალებას იძლევა მინიმუმამდე შემცირდეს სხვადასხვა რისკების ზემოქმედების შედეგად გამოწვეული ზარალი.

## კონტროლის დაკარგვა

მშობელმა საწარმომ შვილობილ საწარმოზე კონტროლი შეიძლება დაკარგოს ორი ან მეტი შეთანხმების (ოპერაციის) შედეგად. თუმცა, ხშირად, მრავალჯერადი გარიგებები საჭიროებს აისახოს, როგორც ერთი ოპერაცია. იმის დასადგენად, მრავალჯერადი შეთანხმება ნამდვილად საჭიროებს თუ არა ერთი ოპერაციის სახით ასახვას, მშობელმა საწარმომ უნდა განიხილოს ყველა შეთანხმება მათში წარმოდგენილ ყველა პირობასთან ერთად, ისევე როგორც მათი ეკონომიკური შედეგები. მშობელმა საწარმომ მრავალჯერადი გარიგებები უნდა ასახოს, როგორც ერთი ოპერაცია, თუ გარიგებები დადებულია ერთსა და იმავე დროს, ან ერთმანეთთან დაკავშირებულად; თუ სულ მცირე ერთი გარიგება დამოკიდებულია სხვა გარიგებაზე; გარიგებებით მიიღწევა ერთი კომერციული შედეგი და მაშინაც, როდესაც ცალკე აღებული ერთი გარიგება ეკონომიკურად გამართლებული არაა, ხოლო სხვა გარიგებებთან ერთად გამართლებულია.

თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, მშობელმა საწარმომ ამ შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით სხვა სრული შემოსავლის მუხლში ადრე აღიარებული ყველა თანხა იმავე მეთოდით უნდა ასახოს, რომელიც მოეთხოვებოდა, თუ შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებების გასვლა პირდაპირ მშობელი საწარმოდან მოხდებოდა. ამგვარად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაცია მოხდებოდა მოგებაში ან ზარალში, შესაბამისი აქტივების ან ვალდებულებების გასვლასთან დაკავშირებით, მშობელი საწარმო შემოსულობის ან ზარალის რეკლასიფიკაციას ახდენს საკუთარი კაპიტალიდან მოგებაში ან ზარალში (რეკლასიფიკაციის კორექტირების სახით), როდესაც კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე. ანალოგიურად, თუ ადრე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული გადაფასების ნამეტი გადატანილი იქნებოდა პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში აქტივის გასვლასთან დაკავშირებით, მშობელმა

საწარმომ გადაფასების ნამეტის თანხა უნდა გადაიტანოს პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში, როდესაც კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე<sup>7</sup>.

თუ მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე, იგი წყვეტს: ა. შვილობილი საწარმოს აქტივებისა (მათ შორის გუდვილის) და ვალდებულებების აღიარებას მათი საბალანსო ღირებულებით იმ თარიღისთვის, როდესაც დაკარგა კონტროლი, და ბ.-ყოფილი შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილის საბალანსო ღირებულებების აღიარებას იმ თარიღისთვის, როდესაც კონტროლს კარგავს (მათ შორის, ამ წილზე მისაკუთვნიებული “სხვა სრული შემოსავლის” კომპონენტების აღიარებას). ხოლო აღიარებს: ა. იმ ოპერაციიდან, მოვლენიდან თუ გარემოებებიდან მიღებული კომპენსაციის (თუ ასეთი არსებობს) რეალურ ღირებულებას, რომელმაც გამოიწვია კონტროლის დაკარგვა; ბ. თუ ოპერაცია, რომელმაც კონტროლის დაკარგვა გამოიწვია, მოიცავს შვილობილი საწარმოს აქციების განაწილებას მის მესაკუთრეებზე, როგორც აქციების მფლობელებზე, \_ ამ განაწილებას; და გ.-შვილობილ საწარმოში დარჩენილ ინვესტიციას, კონტროლის დაკარგვის თარიღისთვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით.

როდესაც მშობელი საწარმო კონტროლს კარგავს შვილობილ საწარმოზე ის ახდენს შვილობილ საწარმოსთან დაკავშირებით, სხვა სრული შემოსავლის შემადგენლობაში აღიარებული თანხების რეკლასიფიკაციას მოგებაში ან ზარალში, ან პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაში გადააქვს, თუ სხვა სტანდარტებით მოითხოვება, ხოლო ამის შედეგად წარმოქმნილ ნებისმიერ სხვაობის თანხას აღიარებს, როგორც შემოსულობას ან ზარალს, მშობელ საწარმოზე მისაკუთვნიებელ მოგებაში ან ზარალში.

ფასს 3-ის მიხედვით დადგენილია, რომ როცა შვილობილი საწარმო, რომელიც იმდენად მკაცრი გრძელვადიანი შეზღუდვების პირობებში მოქმედებს, რომ მშობელ საწარმოს არ შეუძლია ფაქტობრივი კონტროლის განხორციელება, უნდა გამოითიშოს კონსოლიდაციიდან. ანუ თუ რეალურად არ არსებობს კონტროლი და ინვესტორს არ

---

<sup>7</sup> ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. 899

აქვს ფაქტობრივი კონტროლის საშუალება ინვესტირებულ საწარმოზე, მაშინ არ შეიძლება ინვესტირებული საწარმოს კლასიფიცირება შვილობილ საწარმოდ, თუნდაც დაკმაყოფილებული იყოს სხვა პირობები. თუ შვილობილი საწარმო იმდენად მკაცრი გრძელვადიანი შეზღუდვების პირობებში მოქმედებს, რომ მშობელი საწარმო კარგავს კონტროლს თავის ინვესტიციაზე, ის არ აკმაყოფილებს შვილობილი საწარმოს განმარტებას. პრაქტიკაში ამას იშვითად, მაგრამ მაინც აქვს ადგილი და ხდება მაშინ, როცა უცხოური შვილობილი საწარმო ექვემდებარება თავისი ქვეყნის მთავრობას და მოქმედებს მისი ჩარევის შესაბამისად, რაც შეიძლება გამოიხატოს მშობელ საწარმოსთან ურთიერთობის კონტროლში, მაგ. მშობელი საწარმოსთვის ფულის გადარიცხვის დაბლოკვაში.

### **კონსოლიდაციის პროცედურები**

როდესაც ერთ საწარმოს ეკუთვნის სხვა საწარმოს აქციების საკმარისი რაოდენობა იმისათვის, რომ ჰქონდეს ამ საწარმოს ხმათა უმრავლესობა აქციონერთა წლიურ საერთო კრებაზე, პირველ საწარმოს უფლება აქვს დანიშნოს მეორე საწარმოს დირექტორები. კონტროლის აღნიშნული დონე პირველ საწარმოს საშუალებას აძლევს ისე მართოს მეორე საწარმოს კომერციული საქმიანობა და სამომავლო გეგმები, თითქოს მისი ქვედანაყოფი იყოს. ჯგუფის მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ერთი საწარმო აკონტროლებს ყველა დანარჩენს.

როგორც აღვნიშნეთ, კონტროლი ემყარება ხმის უფლებების 50%-ზე მეტის საკუთრებას, რის შედეგადაც აუცილებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენა. თუკი კომპანია იდენტიფიცირებულია მშობელ საწარმოდ:

- ეს მას (მშობელ საწარმოს) შვილობილი კომპანიის კონტროლის საშუალებას აძლევს;
- მშობელ საწარმოს საკმარისი ხმის უფლებები აქვს, რათა თვითონ დანიშნოს შვილობილი საწარმოს ყველა დირექტორი;

- მშობელ საწარმოს შესაძლებლობა აქვს ისე მართოს შვილობილი საწარმო, თითქოს ის მისი ქვედანაყოფია და არა განცალკევებული იურიდიული ერთეული.

ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტი (ფასს 10) მოითხოვს, რომ საწარმომ (მშობელმა საწარმომ), რომელიც აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს (შვილობილ საწარმოს/საწარმოებს), წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. აუცილებელია, რომ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავდეს მშობელი საწარმოს ყველა შვილობილ საწარმოს.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას დამატების სახით აქვს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება. ბასს 27-„ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება“ შემდეგნაირად განმარტავს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებას: ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება არის ფინანსური ანგარიშგება, რომლის წარდგენა ხდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, ან იმ ინვესტორის ფინანსური ანგარიშგების დამატების სახით, რომელსაც არ გააჩნია ინვესტიციები შვილობილ საწარმოებში, მაგრამ აქვს ინვესტიციები მეკავშირე, ან ერთობლივ საწარმოებში. ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებად არ მიიჩნევა იმ საწარმოს ფინანსური ანგარიშგება, რომელსაც არ გააჩნია შვილობილი საწარმო, მეკავშირე საწარმო, ან ერთობლივი მეწილის წილი ერთობლივ საწარმოში.

კონსოლიდაცია არ გულისხმობს გარკვეული ფინანსური მუხლების უბრალო ჯამს, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ბევრი დეტალის გათვალისწინებას მოითხოვს. არსებობს კონსოლიდაციის სამი მეთოდი: სრული კონსოლიდაცია; პროპორციული კონსოლიდაცია და კაპიტალ-მეთოდი. მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაცია ხორციელდება სრული კონსოლიდაციის მეთოდით, რომლის დროსაც აგრეგირებას ექვემდებარება შვილობილი საწარმოს ყველა აქტივი და ვალდებულება, ხოლო არამაკონტროლებელი წილი კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის

ანგარიშგებაში (ბალანსში) აისახება კაპიტალის ნაწილში განცალკევებულად. ამ მეთოდის მიხედვით საწარმოთა გაერთიანებით მიღებული ჯგუფის წევრები იურიდიულად განსხვავებული, ხოლო ეკონომიკურად ერთიანი სუბიექტია.

ფასს-ის მოთხოვნები კონსოლიდაციის პროცედურის დაცვისათვის შემდეგია:

1. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება აერთიანებს მშობელი და შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიურ მუხლებს.
2. ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში - ხდება „ინვესტიციის“ მუხლის ელიმინირება
3. მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური ოპერაციები - აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

ჩვეულებრივ, ჯგუფში შემავალი თითოეული საწარმო, ამზადებს თავის საკუთარ ბუღალტრულ ჩანაწერებს და წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას. ცალკეული საწარმოს ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების საფუძველზე მშობელი საწარმო ამზადებს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას. კონსოლიდაციის დაწყებამდე წარდგენილი უნდა იქნეს მშობელი და შვილობილი საწარმოების

ფინანსური ანგარიშგება მომზადებული ერთი და იგივე საანგარიშგებო თარიღით (მაქსიმალურად დასაშვები განსახვავებაა 3 თვე) და ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკით. თუკი ჯგუფის ყველა წევრს ერთნაირი სააღრიცხვო პოლიტიკა არ აქვს, მაშინ მათი ფინანსური ანგარიშგება კონსოლიდაციამდე უნდა შესწორდეს თავსებადობის მიზნით. ასევე აუცილებელია, რომ საანგარიშგებო პერიოდებისა და ფინანსური ანგარიშგებების თარიღებს შორის განსხვავების პერიოდის ხანგრძლივობა ერთნაირი იყოს წლების მანძილზე. თუ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგება ისეთი თარიღისთვის, ან პერიოდისთვის არის შედგენილი, რომელიც განსხვავდება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების თარიღის, ან პერიოდისგან, საწარმომ უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია: ა) ამ შვილობილი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების საანგარიშგებო პერიოდის ბოლო თარიღი; და ბ) განსხვავებული თარიღის, ან პერიოდის გამოყენების მიზეზები.

მშობელმა საწარმომ უნდა წარადგინოს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ეს სტანდარტი ვრცელდება ყველა მშობელ საწარმოზე, შემდეგის გარდა:

ა) მშობელი საწარმო თვითონ წარმოადგენს სხვა საწარმოს სრულ ან ნაწილობრივ

საკუთრებაში მყოფ შვილობილ საწარმოს და მისი ყველა სხვა მესაკუთრე, მათ შორის ისინიც, რომლებიც არ არიან აღჭურვილნი ხმის უფლებით, ინფორმირებულნი იყვნენ, რომ მშობელი საწარმო არ წარადგენს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას და ამის წინააღმდეგ არ წასულან;

ბ) მშობელი საწარმოს სავალო ან წილობრივი ინსტრუმენტები არ იყიდება ფასიანი

ქაღალდების საჯარო ბაზარზე (ადგილობრივი ან უცხოური საფონდო ბირჟა, ან

არასაბირჟო ფასიანი ქაღალდების (მეორადი ბაზარი), როგორც ადგილობრივი, ისე რეგიონული);

გ) მშობელი საწარმო თავის ფინანსურ ანგარიშგებას ფასიანი ქაღალდების კომისიაში ან სხვა მარეგულირებელ ორგანოში არც ადრე წარადგენდა და არც ახლა იმყოფება წარდგენის პროცესში, ფასიანი ქაღალდების საჯარო ბაზარზე რაიმე სახის ფინანსური ინსტრუმენტების გამოშვების მიზნებისათვის; და მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს ფასს სტანდარტების შესაბამის საჯაროდ ხელმისაწვდომ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელშიც შვილობილი საწარმოები ან კონსოლიდირებულია, ან შეფასებულია რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით, წინამდებარე სტანდარტის შესაბამისად.

დ) მისი საბოლოო მშობელი საწარმო, ან რომელიმე შუალედური მშობელი საწარმო ადგენს საჯაროდ ხელმისაწვდომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

ზოგადად, ფინანსური ანგარიშგების დანიშნულებაა არსებულ და პოტენციურ ინვესტორებს, გამსესხებლებსა და სხვა კრედიტორებს ანგარიშვალდებული საწარმოს შესახებ მიაწოდოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც სასარგებლო იქნება მათთვის, მოცემული საწარმოს რესურსებით უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მისაღებად. ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ეხება წილობრივი და სავალო ინსტრუმენტების ყიდვას, გაყიდვას ან დატოვებას და ასევე სესხების გაცემას ან დაფარვას და დაკრედიტების სხვა ფორმებს. ბევრ არსებულ და პოტენციურ ინვესტორს, გამსესხებელსა და სხვა კრედიტორებს არ შეუძლიათ, ანგარიშვალდებულ საწარმოებს მოსთხოვონ ინფორმაციის მიწოდება უშუალოდ მათთვის და ისინი უნდა დაეყრდნონ საერთო დანიშნულების ფინანსურ ანგარიშებს, რათა მიიღონ მათთვის საჭირო ინფორმაციის მნიშვნელოვანი ნაწილი. შესაბამისად, სწორედ ისინი არიან ძირითადი მომხმარებლები, რომლებზედაც ორიენტირებულია საერთო დანიშნულების ფინანსური ანგარიშგება.

საწარმოს ფინანსურ მდგომარეობას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს საწარმოს განკარგულებაში არსებული ეკონომიკური რესურსები, მისი სტრუქტურა, ლიკვიდურობა და საწარმოს გადამხდელუნარიანობა. ასეთი ინფორმაცია საშუალებას იძლევა განისაზღვროს საწარმოს მიერ მომავალში ფულისა და ფულადი ეკვივალენტების მიღების უნარი. ინფორმაცია ფინანსური სტრუქტურის შესახებ სესხებზე მიმდინარე მოთხოვნის განსაზღვრის, მფლობელთა შორის მომავალი მოგებისა და ფულადი სახსრების განაწილების წესის დადგენის საშუალებას იძლევა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის ჯგუფის ანგარიშების მომზადების ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მიზანია გვიჩვენოს ჯგუფის მდგომარეობა, ისე თითქოს იგი ერთი მთლიანი სამეურნეო ერთეულია. ამგვარად:

- მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველა აქტივი და ვალდებულება აისახება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში;
- მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი აისახება კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში;
- მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველანაირი „სხვა სრული შემოსავალი“ აისახება კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში.

საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შვილობილი საწარმოს შემოსავლებისა და ხარჯების ასახვის თარიღია პერიოდი კონტროლის მოპოვებიდან კონტროლის დაკარგვამდე. შვილობილი საწარმოს შემოსავლები და ხარჯები მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაიანგარიშება შეძენის თარიღისთვის აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებების საფუძველზე. მაგალითად, კონსოლიდირებულ სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შეძენის თარიღის შემდეგ აღიარებული ცვეთის ხარჯი უნდა ეყრდნობოდეს შესაბამისი ცვეთადი აქტივების რეალურ ღირებულებებს,

რომლებიც კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული იყო შეძენის თარიღისათვის.<sup>8</sup>

## გუდვილის განსაზღვრა

გუდვილი არის აქტივი, რომელიც წარმოადგენს საწარმოთა გაერთიანებისას შეძენილ, სხვა აქტივებიდან წარმოქმნილ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის ცალკე იდენტიფიცირება და აღიარება შეუძლებელია. ფასს 3-ის თანხმად, გუდვილი წარმოადგენს სხვაობას შემდეგ ორ სიდიდეს შორის:

1. ჯამური მაჩვენებელი შემდეგი სიდიდეების:
  - გადაცემული კომპენსაცია, რომელიც საზოგადოდ საჭიროებს რეალური ღირებულებით შეფასებას შეძენის თარიღით;
  - ფასს 3 - ის შესაბამისად შეფასებული ნებისმიერი არამაკონტროლებელი წილი შეძენილ საწარმოში; და
  - ეტაპობრივად განხორციელებულ საწარმოთა გაერთიანებაში – შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს ადრე კუთვნილი სააქციო წილის რეალური ღირებულება, შეფასებული შეძენის თარიღისთვის.

2. შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივებისა და აღებული ვალდებულებების წმინდა ღირებულება შეძენის თარიღისათვის.

ის ნამეტი ღირებულება, რომლითაც შეძენისას გადახდილი თანხა (ან სხვა სახის ანაზღაურება) აღემატება შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების იმ რეალურ ღირებულებას, რომელიც მათ ქონდათ შესყიდვის მომენტში, აღიარდება კონსოლიდირებულ ბალანსში, როგორც გუდვილი. შეძენილი იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება არის სხვაობა შეძენილი

---

<sup>8</sup> ფასს 10 კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება. ფასს. თბ., 2015. დანართი ა.

იდენტიფიცირებადი აქტივების რეალურ ღირებულებასა და შეძენილი იდენტიფიცირებადი ვალდებულებების, პირობითი ვალდებულებების ჩათვლით, რეალურ ღირებულებას შორის შესყიდვის მომენტისათვის. თუ შეძენისას გადახდილი საფასური ნაკლებია შეძენილი კომპანიის წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებაზე, სხვაობის აღიარება ხდება კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგებაში. კონსოლიდირებულ ბალანსში, რა თქმა უნდა, გაითვალისწინება გუდვილის გაუფასურება და გუდვილი ფასდება გაუფასურების ზარალით შემცირებული თანხით. გუდვილი არ ამორტიზირდება, მას ყოველწლიურად უტარდება ტესტირება გაუფასურებაზე.

ფასს 3-ის მიხედვით არსებობს გუდვილის გაანგარიშების ორი მეთოდი:

1. ნაწილობრივი გუდვილი (პროპორციული) და
2. სრული გუდვილი (რეალური ღირებულებით).

**1. ნაწილობრივი გუდვილი (ლარი)**

<b>ნაწილობრივი გუდვილი</b>	
ინვესტიციის თვითღირებულება	50,000
შეძენილი წმინდა აქტივები	
მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში შეძენის თარიღისათვის	(35,000)
კონსოლიდაციის გუდვილი (მშობელი საწარმოს წილი)	15,000 <sup>9</sup>

<sup>9</sup> წიგნი F7, ფინანსური ანგარიშგება, ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიონალი სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბილისი, 2010

## 2. სრული გუდვილი (ლარი)

სრული გუდვილი		
ინვესტიციის თვითღირებულება		50.000
შეძენილი წმინდა აქტივები		
მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებში შეძენის თარიღისათვის		(35,000)
გუდვილი - მშობელი საწარმოს წილი		15,000
არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება შეძენისას გამოკლებული:	20,000	
არამაკონტროლებელი წილის კუთვნილი ნაწილი წმინდა აქტივებში	(15000)	
გუდვილი - არამაკონტროლებელი წილის ნაწილი		5,000
სრული გუდვილი		20,000 <sup>10</sup>

გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი ერთნაირად უნდა შეფასდეს: რეალური ღირებულებით (სრული გუდვილის მეთოდით ) ან პროპორციულობის გუდვილით. გუდვილის თანხის დასადგენად ისეთ საწარმოთა გაერთიანებაში, სადაც არანაირი კომპენსაციის გადაცემა არ მომხდარა, მყიდველმა საწარმომ შეძენის თარიღისათვის შეფასებული, გადაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულების მაგივრად უნდა გამოიყენოს შეძენილ საწარმოში მყიდველი საწარმოს წილის რეალური ღირებულება, რომელიც შეფასებულია შეძენის თარიღისათვის, შეფასების მეთოდების გამოყენებით<sup>11</sup>.

### არამაკონტროლებელი წილი

არამაკონტროლებელი წილია შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალი, რომელიც მშობელ საწარმოს არ ეკუთვნის არც პირდაპირ და არც არაპირდაპირ. ფასს 3

<sup>10</sup> წიგნი F7, ფინანსური ანგარიშგება, ინგლისისა და უელსის ნაფიც სერტიფიცირებულ ბუღალტერთა ასოციაციის პროფესიონალი სერტიფიცირების სახელმძღვანელო. თბილისი, 2010

<sup>11</sup> კორპორაციული ანგარიშგება, კვატაშიძე. ნ, თბილისი 2018, გვ.209

მყიდველ საწარმოს უფლებას აძლევს, რომ შეძენილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი შეძენის თარიღით განსაზღვრული რეალური ღირებულებით შეაფასოს. რეალური ღირებულება ფასდება ჩვეულებრივი აქციების აქტიური ბაზრის კოტირებული ფასის საფუძველზე, როდესაც ამის შესაძლებლობა არსებობს. თუმცა ხშირად ასე არ ხდება, ამიტომ მყიდველმა საწარმომ არამაკონტროლებელი წილის რეალური ღირებულება უნდა შეაფასოს შეფასების სხვა მეთოდებით. ფასს 3, „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“, მყიდველ საწარმოს ასევე აძლევს უფლებას, არამაკონტროლებელი წილი შეაფასოს შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებში არამაკონტროლებელი წილის პროპორციული წილით. ამ შემთხვევაში არამაკონტროლებელ წილში გუდვილი არ ჩაირთვება, მაშინ როცა პირველი მეთოდის გამოყენებისას გუდვილი გაითვალისწინება და არამაკონტროლებელი წილი მოიცავს, როგორც წილს წმინდა აქტივებიდან, ასევე არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნებელ გუდვილს. ამ ორი მეთოდიდან ერთ-ერთს საწარმო თვითონ ირჩევს და იყენებს.

არამაკონტროლებელი წილი აისახება კონსოლიდირებული ბალანსის საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, აუცილებლად ცალკე მუხლის სახით. ამით გამოყოფილია აქტივების ის ნაწილი, რომელიც არ ეკუთვნის მშობელ საწარმოს, თუმცა კი აკონტროლებს მას.

ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს მიხედვით, როგორც წესი, ჩნდება სამი ძირითადი განსხვავება, რომელიც მაშინ წარმოიშობა, როცა არამაკონტროლებელი წილი შეფასდება როგორც შეძენილი საწარმოს იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივების პროპორციული წილი და არა როგორც შეძენის თარიღისათვის შეფასებული რეალური ღირებულებით:

**პირველი-** საწარმოთა გაერთიანებაში არამაკონტროლებელი წილისა და გუდვილისათვის აღიარებული თანხა, სავარაუდოდ, უფრო მცირე იქნება.

**მეორე-** თუ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეული, რომელზეც განაწილებულია გუდვილი, შემდგომში გაუფასურდება, გუდვილის გაუფასურების ხარჯი, რომელიც აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში სავარაუდოდ იქნება უფრო მცირე, ვიდრე იმ შემთხვევაში იქნებოდა, თუ არამაკონტროლებელი წილი შეფასდებოდა რეალური ღირებულებით. აღნიშნული მოსაზრება არ ეხება მაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნიებელ გაუფასურების ზარალს.

**მესამე-** განსხვავება მაშინ წარმოიშობა, როდესაც მყიდველი საწარმო შემდგომში შეიძენს გარკვეული რაოდენობის (ან ყველა) აქციას, რომელსაც ფლობენ არამაკონტროლებელი აქციონერები. ამ შემთხვევაში მყიდველ საწარმოს ეს ოპერაცია უნდა აღერიცხა როგროც კაპიტალში განხორციელებული ცვლილება, რაც გულისხმობს შემდეგს: მაკონტროლებელი და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულება უნდა დაკორექტირდეს, შვილობილ საწარმოში წილის ფლობის შესაბამისად. ნებისმიერი სხვაობა არამაკონტროლებელი წილის კორექტირებულ თანხასა და გადაცემული კომპენსაციის რეალურ ღირებულებას შორის უნდა აისახოს მშობელი კომპანიის კაპიტალში.

როდესაც არამაკონტროლებელი წილი ფასდება რეალური ღირებულებით ჩნდება კიდევ ერთი გასათვალისწინებელი ფაქტორი - გუდვილის გაუფასურება. არამაკონტროლებელი წილის გამოთვლისას გუდვილის გაუფასურება აკლდება წმინდა აქტივების წილისა და მიკუთვნიებული გუდვილის ჯამს, ხოლო მოგება-ზარალის ანგარიშგებაში არამაკონტროლებელი წილი გაიანგარიშება დაბეგვრის შემდგომი მოგებიდან, დივიდენდების გადახდამდე. ეს ციფრი მოიცავს შვილობილი საწარმოს დივიდენდებსა და გაუნაწილებელ მოგებაში არამაკონტროლებელი წილის ნაწილს. როდესაც წლის მანძილზე გუდვილის გაუფასურება გამოვლინდება, მოცემულ წელს ეს თანხა უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ჩვეულებრივ, საოპერაციო ხარჯებში. თუკი არსებობს არამაკონტროლებელი წილი, მოხდება მისი გამოთვლა შემდეგნაირად: არამაკონტროლებელი წილის % \*

შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება (აღებული კონსოლიდაციის ცხრილიდან, შვილობილი საწარმოს სვეტიდან.)

საწარმომ მოგება, ან ზარალი და “სხვა სრული შემოსავლის” თითოეული კომპონენტი უნდა გაანაწილოს მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე. ანალოგიურად, საწარმომ მშობელ საწარმოსა და არამაკონტროლებელ წილზე უნდა გაანაწილოს მთლიანი სრული შემოსავალიც, თუნდაც ამან გამოიწვიოს არამაკონტროლებელი წილის უარყოფითი ნაშთი.

სს „ჰოსპიტალი“ 2015 წელს შეიძინა შპს „მედილაბის“ კაპიტალის 80%-იანი წილი.

2017 წ. 31 დეკემბრით დამთავრებული საანგარიშგებო წლის შედეგებია:

	სს ჰოსპიტალი	შპს მედილაბი
	ლარი	ლარი
ამონაგები რეალიზაციიდან	10,500	4,400
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,900)	(2,740)
სხვა ხარჯები	(2,100)	(960)
სავაჭრო მოგება დაბეგვრამდე	2500	700
მოგების გადასახადი	(375)	(105)
<b>მოგება დაბეგვრის შემდგომ</b>	<b>2,125</b>	<b>595</b>

ამ შემთხვევაში კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება მიიღება მარტივი გაერთიანების გზით .

კონსოლიდაციის ცხრილი:

	სს	შპს	სულ
	ჰოსპიტალი	მედილაბი	
	ლარი	ლარი	ლარი
ამონაგები	10,500	4,400	14900
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(5,900)	(2,740)	(8,640)
სხვა ხარჯები	(2,100)	(960)	(3,060)
მოგება დაბეგვრამდე	2,500	700	3,200
მოგების გადასახადები	(375)	(105)	(480)
<b>დაბეგვრის შემდგომი მოგება</b>	<b>2125</b>	<b>595</b>	<b>2,720</b>

არამაკონტროლებელი წილი = 595,000 X 20% = 119,000

კონსოლიდირებული მოგება/ზარალი (ლარი):

	სს ჰოსპიტალი
	ლარი
ამონაგები რეალიზაციიდან	14,900
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება და	(8,640)

ხარჯები	
სხვა ხარჯები	(3,060)
ჯგუფის მოგება დაბეგვრამდე	<b>3,200</b>
გადასახადები	(480)
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება	<b>2,720</b>
თანხა მისაკუთვნიებული:	
მშობელი საწარმოს საკუთარი კაპიტალი მესაკუთრეებზე	2,601
არამაკონტროლებელი წილზე	<b>119</b>

იმ შემთხვევაში, როდესაც იცვლება არამაკონტროლებელი წილის საკუთრების ხვედრითი წილი, საწარმომ უნდა დააკორექტიროს მაკონტროლებელი და არამაკონტროლებელი წილების საბალანსო ღირებულებები, შვილობილ საწარმოში ფლობილი წილების თანაფარდობაში მომხდარი ცვლილების ასახვის მიზნით. სხვაობა არამაკონტროლებელი წილების კორექტირების თანხასა და გადახდილი ან მიღებული კომპენსაციის რეალურ ღირებულებას შორის უნდა აღიარდეს პირდაპირ საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში და მიეკუთვნოს მშობელი საწარმოს მესაკუთრეებს.

#### ანალოგიური მუხლების გაერთიანება და ინვესტიციის ელიმინირება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გაერთიანებულია მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების აქტივების, ვალდებულებების, საკუთარი კაპიტალის, შემოსავლების, ხარჯებისა და ფულადი ნაკადების ანალოგიური მუხლები. ამ ნაწილში კონსოლოდაციის გაანგარიშებებს უბრალო

მიმატების სახე აქვს . მაგ. თუ მშობელი საწარმოს გრძელვადიანი აქტივების ღირებულებაა 100,000 ლარი, ხოლო შვილობილის 50,000 ლარი, კონსოლიდირებულ ბალანსში გრძელვადიანი აქტივების ღირებულება 150,000 ლარი იქნება. ხოლო კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში მუხლები ამონაგებიდან დაბეგვრის შემდგომი მოგებამდე უდრის მშობელი საწარმოს ყველანაირ შემოსავალსა და ხარჯს პლიუს შვილობილი საწარმოების ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი.

შემდგომი კონსოლიდაციის პროცედურაა ინვესტიციის მუხლის ელიმინირება-კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებულია მშობელი საწარმოს მიერ თითოეულ შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციების საბალანსო ღირებულება და მშობელი საწარმოს კუთვნილი ნაწილი თითოეული შვილობილი საწარმოს საკუთარ კაპიტალში. კონსოლიდირებული ანგარიშგება მზადდება ინვესტიციების თვითღირებულების ჩანაცვლებით ამ ინვესტიციის სააფუძვლად აღებული ცალკეული აქტივებითა და ვალდებულებებით.

აღსანიშნავია კონსოლიდირებული ბალანსის მომზადების მეთოდები:

1. შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია, რომელიც ნაჩვენებია მშობელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჩანაცვლებულია შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივებით
2. შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიციის თვითღირებულება, ფაქტობრივად, ჩანაცვლებულია შვილობილი საწარმოს ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალით და რეზერვებით.

ამის შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვიჩვენებს მთელი ჯგუფის (მშობელი + შვილობილი საწარმო) წმინდა აქტივებს.

სს ჰოსპიტალმა შეიძინა შპს პოლიკლინიკა . ქვემოთ ცხრილში მოტანილია ბალანსი

შპს პოლიკლინიკას შეძენის დღეს.

საბალანსო მუხლები	სს ჰოსპიტალი (ათ.ლარი)	შპს პოლიკლინიკა (ათ.ლარი)
გრძელვადიანი აქტივები	100	50
ინვესტიცია შპს პოლიკლინიკაში-ში 100% წილით	40	
მოკლევადიანი აქტივები	25	20
<b>სულ აქტივები</b>	<b>165</b>	<b>70</b>
ჩვეულებრივი აქციები	110	40
გაუნაწილებელი მოგება	35	
ვალდებულებები	20	30
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>165</b>	<b>70</b>

**კონსოლიდირებული ბალანსი**

საბალანსო მუხლები	სს ჰოსპიტალი (ათ.ლარი)	შპს პოლიკლინიკა (ათ.ლარი)	კონსოლიდირებული ბალანსი
გრძელვადიანი აქტივები	100	50	150
ინვესტიცია შპს პოლიკლინიკაში-ში 100%	40		

წილით			
მოკლევადიანი აქტივები	25	20	45
<b>სულ აქტივები</b>	<b>165</b>	<b>70</b>	<b>195</b>
ჩვეულებრივი აქციები	110	40	110
გაუნაწილებელი მოგება	35		35
ვალდებულებები	20	30	50
<b>კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>165</b>	<b>70</b>	<b>195</b>

### ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების განსაზღვრა

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება გვიჩვენებს გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც შედგება ჯგუფის მიერ მიღებული მოგებისაგან (ე.ი. მშობელი საწარმოს წარსული პერიოდის მოგება + შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ მიღებული მოგება). აღსანიშნავია, რომ კონსოლიდაციის შედეგად ჩნდება ორი ცნება, შეძენამდელი მოგება - რაც არის რეზერვები, რომელიც შვილობილ საწარმოში არსებობდა მისი შეძენის თარიღისათვის. შეძენის დროს ხდება მათი კაპიტალიზაცია, გუდვილის გამოთვლებში მათი გათვალისწინების გზით და მეორე შეძენის შემდგომი მოგება - მოგება, რომელსაც შვილობილი საწარმო შეძენის შემდეგ ქმნის და ჩაირთვება გაუნაწილებელ მოგებაში. კონსოლიდაციის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია „შეძენამდელი“ და „შეძენის შემდგომი“ გაუნაწილებელი მოგებისა და რეზერვების ერთმანეთისაგან გამიჯვნა, რადგან შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან ჯგუფს მხოლოდ შეძენის შემდგომი მოგება ეკუთვნის. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგების გამოთვლაში ასევე უნდა ჩავრთოთ გუდვილის

გაუფასურების ზარალი, რომელი სიდიდეც, თავის მხრივ, ამცირებს გაუნაწილებელ მოგებას .

**შემენამდე და შემენის შემდგომი მოგება.**

ამონარიდი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან.

	სს ჰოსპიტალი	შპს რეფერალური ჰოსპიტალი
გრძელვადიანი აქტივები	ლარი	ლარი
მატერიალური მარაგები	75,000	11,000
ინვესტიციები		
აქციები სს ჰოსპიტალში	30,000	
სულ გრძელვადიანი აქტივები	105,000	
მიმდინარე აქტივები	215,000	33,000
სულ აქტივები	320,000	44,000
კაპიტალი და რეზერვები		
სააქციო კაპიტალი	80,000	4,000
საემისიო კაპიტალი	20,000	6,000
გაუნაწილებელი მოგება	40,000	9,000
სულ კაპიტალი	140,000	19,000
მოკლევადიანი ვალდებულებები	180,000	25,000
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	320,000	44,000

დავუშვათ წინა წელს სს ჰოსპიტალმა შეიძინა ყველა აქცია, შემენის თარიღისთვის შპს რეფერალური ჰოსპიტალის გაუნაწილებელი მოგება შეადგენდა 2,000 ლარს. შემენამდე ადგილი არ ქონია გუდვილის გაუფასურებას.

სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული ბალანსი:

გრძელვადიანი აქტივები	ლარი
გუდვილი	15,000
მატერიალური მარაგი (75,000+11,000)	86,000
მიმდინარე აქტივები(215,000+33,000)	248,000
<b>სულ აქტივები</b>	<b>249,000</b>
სააქციო კაპიტალი (სს ჰოსპიტალი)	80,000
საემისიო კაპიტალი	20,000
გაუნაწილებელი მოგება	47,000
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>147,000</b>
მოკლევადიანი ვალდებულებები	205,000

შპს რეფერალური ჰოსპიტალი:

	შემენის თარიღისთვის	საანგარიშგებო თარიღი
სააქციო კაპიტალი	4,000	4,000
რეზერვები:		
საემისიო კაპიტალი	6,000	6,000
გაუნაწილებელი მოგება	2,000	9,000
<b>სულ</b>	<b>12,000</b>	<b>19,000</b>

შემენისას წარმოქმნილი გუდვილი : ლარი  
ინვესტიციის თვითღირებულება 27,000  
შპს რეფ.ჰოსპიტალის წმინდა აქტივ. შემენის თარიღისთვის (12,000)

გუდვილი 15, 000

ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება:

სს ჰოსპიტალის გაუნაწილებელი მოგება(100%) 40,000

შპს რეფ.ჰოსპიტალის ჯგუფის წილი შეძენის შემდგომ გაუნაწ. მოგებაში 7,000

სულ გაუნაწილებელი მოგება 47,000

### შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში მთლიანად ელიმინირებულია შიდაჯგუფური აქტივები და ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულადი ნაკადები, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფში შემავალ საწარმოთა შორის განხორციელებულ ოპერაციებთან (მთლიანად არის ელიმინირებული შიდაჯგუფურ ოპერაციებთან დაკავშირებული მოგება, ან ზარალი, რომელიც ასახულია ისეთი აქტივების საბალანსო ღირებულებაში, როგორცაა მარაგები და გრძელვადიანი აქტივები). შიდაჯგუფური ზარალი შეიძლება გაუფასურების მაჩვენებელი იყოს, რაც უნდა აღიარდეს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. შიდაჯგუფური სამეურნეო ოპერაციები უნდა გამოირიცხოს კონსოლიდაციისას, რათა მიღწეულ იქნეს ჯგუფის ფინანსური ანგარიშგების უმთავრესი მიზანი-წარმოაჩინოს ჯგუფის მდგომარეობა ისე, თითქოს ერთი სამეურნეო ერთეული ყოფილიყოს.

ჯგუფს შიგნით ხშირად აქტიური სავაჭრო ურთიერთობა მიმდინარეობს, ამ დროს ჩნდება შემდეგი საკითხები, რომლებიც უნდა გავითვალისწინოთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, ესენია:

1. მიმდინარე ანგარიშების არსებობა მშობელ და შვილობილ საწარმოებს შორის;

2. მარაგის გაყიდვასთან დაკავშირებული არარეალიზებული მოგება;
3. მომსახურების გაწევა
4. გრძელვადიანი აქტივების გაყიდვასთან დაკავშირებული არარეალიზებული მოგება;
5. დროებითი ფინანსური დახმარება
6. ერთი საწარმოს მიერ მეორე საწარმოს სავალო ვალდებულების ფლობა;
7. დივიდენდები და სესხის პროცენტი.

არარეალიზებული მოგება არის ჯგუფს შიგნით ვაჭრობიდან მიღებული მოგება, რომელიც არაა გატანილი ჯგუფს გარეთ, ანუ გაყიდული საქონელი წლის ბოლოს ისევ მარაგშია. აუცილებელია, რომ ეს მოგება/ფასნამატი გამოირიცხოს ჯგუფის ფინანსური შედეგებიდან. ამისათვის , პირველ რიგში , უნდა გავადგინოთ გამყიდველი მხარე. სწორედ ამ მხარესთან წარმოიქმნება არარეალიზებული მოგება. ამის შემდგომ , უნდა დადგინდეს რამდენია არარეალიზებული მოგება და გაკეთდეს კორექტირებები:

1. არარეალიზებული მოგების სიდიდით შემცირდეს გაუნაწილებელი მოგება
2. არარეალიზებული მოგების სიდიდით შემცირდეს მარაგი

თუ გამყიდველი მხარე მშობელი საწარმოა გატარებებს ექნება შემდეგი სახე:

დებეტი \_ გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

კრედიტი \_ მარაგი (კონსოლიდირებული/ჯგუფის),

მსგავსი სურათი გვექნება იმ შემთხვევაში , როცა გამყიდველი მხარე სრულად ფლობილი შვილობილი საწარმოა. ხოლო მაშინ, როცა გამყიდველი ნაწილობრივ ფლობილი შვილობილი საწარმოა, მოგება ნაწილობრივ უკავშირდება ჯგუფს, ნაწილობრივ კი \_ არამაკონტროლებელ წილს. ამიტომ არარეალიზებული მოგების გამოთვლისას გაითვალისწინება მისი ფლობის წილი, რადგან იგულისხმება, რომ გაუნაწილებელი მოგება ნაწილდება პროპორციულად არამაკონტროლებელ წილზეც.

ამ შემთხვევაში კორექტირება გაკეთდება შემდეგი გატარებით:

დებეტი – გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

დებეტი – არამაკონტროლებელი წილი

კრედიტი – მარაგი (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

ისევე როგორც, კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, კონსოლიდირებულ მოგება-ზარალშიც უნდა გამოირიცხოს ჯგუფს შიდა ვაჭრობის შედეგები. შიდაჯგუფური რეალიზაციის გამორიცხვა ნაჩვენები უნდა იყოს კონსოლიდაციის ცხრილში, კორექტირების ამსახველ სვეტში. თუ ჯგუფის ფარგლებში რეალიზებული რომელიმე საქონელი ასახული იქნება საბოლოო მარაგში, მისი ღირებულება უნდა შესწორდეს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. კონსოლიდაციის ცხრილში, გამყიდველის სვეტში არარეალიზებული მოგების შესაბამისი კორექტირება ნაჩვენები უნდა იყოს, როგორც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდა.

კონსოლიდირებული ამონაგები = მშობელი საწარმოს ამონაგები + შვილობილი საწარმოს ამონაგები - შიდაჯგუფური რეალიზაცია;

კონსოლიდირებული რეალიზებული საქონლის თვითღირებულება = მშობელი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება + შვილობილი საწარმოს რეალიზებული საქონლის თვითღირებულება - შიდაჯგუფური რეალიზაცია + არარეალიზებული მოგება

თუ არარეალიზებული მოგება შვილობილ საწარმოში წარმოიშვა,

არამაკონტროლებელი წილი უნდა შესწორდეს მისი კუთვნილი წილით არარეალიზებულ მოგებაში. ამისათვის, პირველ რიგში, უნდა გამოირიცხოს მთელი არარეალიზებული მოგება, რათა განისაზღვროს ჯგუფის, როგორც ერთი სამეურნეო ერთეულის ვაჭრობის შედეგად მიღებული საერთო მოგების სწორი თანხა. შემდეგ გამოითვლება არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნილი ნაწილი, შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგების შემცირებული თანხის საფუძველზე. ვინაიდან არარეალიზებული მოგების კორექტირება კონსოლიდაციის ცხრილში კეთდება გამყიდველის სვეტში, არამაკონტროლებელი წილის გამოსათვლელად შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება გამოიყენება, რომელიც ამავე ცხრილშია გამოთვლილი.

მოცემულია სს ჰოსპიტალის და მისი შვილობილი საწარმოს - „ახალი კლინიკა“

2016 წლის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებები:

	სს ჰოსპიტალი (ათასი ლარი)	„ახალი კლინიკა“ (ათასი ლარი)
ამონაგები რეალიზაციიდან	3,500	2,500
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,000)	(1,400)
საერთო მოგება	1,500	1,100
კომერციული დანახარჯები	(200)	(150)
ადმინისტ. ხარჯები	(350)	(50)
	950	900
საინვესტიციო შემოსავალი	160	
	1,110	900
დაბეგვრა	(170)	(135)
წლის წმინდა მოგება	940	765

დამატებითი ინფორმაცია მაგალითისთვის:

- 2014 წლის 31 დეკემბერს სს ჰოსპიტალმა 1,5 მლნ ლარი გადაიხადა შპს ახალი კლინიკის 800,000 ღირებულების ჩვეულებრივი სააქციო კაპიტალის 80%-ის შესაძენად. ამ დროს შპს ახალი კლინიკის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 600,000 ლარი იყო.
- 2015 წლის 1 იანვარს გუდვილის გაუფასურებამ შეადგინა 152,000 ლარი, შემდგომ 38,000 ლარი გაუფასურება გამოვლენილი იყო წლის ბილოს, რაც აისახა ადმინისტრაციულ ხარჯებში
- საანგარიშგებო წლის მანძილზე სს ჰოსპიტალმა შპს ახალი კლინიკას მიყიდა 600,000 ლარის ღირებულების საქონელი. შპს ახალი კლინიკის საბოლოო მარაგში ასახული მოგების ელემენტი შეადგენდა 30,000 ლარს.
- სს ჰოსპიტალის მოგებისა და ზარალის ანგარიშებაში ასახული საინვესტიციო შემოსავლის ციფრებში შედის მშობელი საწარმოს წილი შვილობილი საწარმოს მოცემული წლის მთლიან დივიდენდებში.
- ზემოთ აღნიშნულს საფუძველზე უნდა მომზადდეს კონსოლიდირებული მოგება -ზარალის ანგარიშება.

გაანგარიშებები:

(ათას ლარში)

	სს ჰოსპიტალი	შპს ახალი კლინიკა	კორექტ.	სულ
ამონაგები	3,500	2,500	(600)	5,400
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(2,000)	(1,400)	600	
არარეალიზებული მოგების ანარიცხი	(30)			(2,830)

ადმინისტრაციული ხარჯი	(350)	(50)	გუდვილი(38)	(438)
კომერციული ხარჯი	(200)	(150)		(350)
გადასახადი	(170)	(135)		(305)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	750	885	(38)	159,7

სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება:

ს.ნ	ათასი ლარი
ამონაგები	5,400
რპთ	2,830
საერთო მოგება	2,570
კომერციული დანახარჯები	(350)
ადმინისტრაციული ხარჯი	(438)
მოგება დაბეგვრამდე	1,782
დაბეგვრა	(305)
მოგება დაბეგვრის შემდეგ	1,477
მისაკუთვნიებული თანხა:	
მშობელი საწარმოს ს.კ მესაკუთრეებზე	1,181
არამაკონტროლებელი წილი	296

გრძელვადიანი აქტივებით შიდაჯგუფური ვაჭრობის დროს არარეალიზებული მოგების გამოთვლისას ცვეთის ფაქტორი შემოდის. აქაც, როგორც საქონლის მიწოდებისას, წარმოიქმნება ფასნამატი, რომელიც უნდა ანულირდეს. თუმცა ამ შემთხვევაში არარეალიზებული მოგება კორექტირდება ცვეთის თანხით.

ფასნამატიდან რეალიზებულად ჩაითვლება დარიცხული ცვეთის თანხა, რადგან ის აღიარდება ხარჯად და აისახება მოგება-ზარალში, ხოლო ფასნამატის თანხა, რომელიც ჯერ არ აღიარებულა ცვეთის თანხად – არის არარეალიზებული მოგება. კორექტირების გასაკეთებლად დგინდება არარეალიზებული მოგების სიდიდე გრძელვადიანი აქტივების გაყიდვამდე და შეუდარდება გაყიდვის შემდეგ საბალანსო ღირებულებებს. მაკორექტირებელი გატარება იქნება

დებიტი – გაუნაწილებელი მოგება (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

კრედიტი – ძირითადი საშუალებები (კონსოლიდირებული/ჯგუფის)

თუ ჯგუფში შემავალი ერთი საწარმო მეორეს მიჰყიდის გრძელვადიან აქტივს, მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში საჭირო იქნება კორექტირებები:

- ამ გადაცემიდან წარმოქმნილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი უნდა გამოიქვეთოს შესაბამისი კატეგორიიდან, კონსოლიდაციის ცხრილის გამყიდველის სვეტში;
- დარიცხული ცვეთა უნდა შესწორდეს იმგვარად, რომ ის ეყრდნობოდეს აქტივის თვითრეზულტებს ჯგუფთან მიმართებაში.

ამ კორექტირებების შედეგად უნდა შეიქმნას ისეთი სურათი, თითქოს აქტივის გაყიდვას არც ჰქონია ადგილი.

ჯგუფის წევრებს შორის ძირითადი საშუალებების გაყიდვის შემთხვევაში, თუ ამ აქტივის გასაყიდი ფასი იგივეა, რაც მისი საბალანსო ღირებულება გამყიდველის ბუღალტრულ წინგებში, მაშინ არავითარი კორექტირება არ იქნება საჭირო. თუმცა, როგორც წესი, განსხვავებული სიტუაცია გვაქვს ხოლმე თუ გამყიდველი რეალიზაციიდან მოგებას იღებს. ამ დროს მყიდველი ამ აქტივს ასახავს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, ვიდრე მისი ამორტიზებული ღირებულება არის ჯგუფის პოზიციიდან. მიღებული მოგება ჯგუფის პოზიციიდან არის არარეალიზებული მოგება და ის რეალიზდება თანდათანობით აქტივის მომსახურების ვადის განმავლობაში ცვეთის დარიცხვით. მანამ სანამ ცვეთა სრულა არ დაირიცხება,

საჭირო იქნება ყოველი კონსოლიდაციისას მაკორექტირებელი გატარების გაკეთება: არარეალიზებული მოგების თანხით უნდა შემცირდეს შემოსავალი და აქტივის საბალანსო ღირებულება.

როცა მშობელი და შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან ვაჭრობას აწარმოებენ, წარმოიქმნება ერთი მხრივ დებიტორული დავალიანება, ხოლო მოერე საწარმოს მხრივ, კრედიტორული დავალიანება, ეს თანხები გადახდილია ჯგუფს შიგნით და არა მის გარეთ, ამიტომაც ისინი არ უნდა ჩანდეს კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებში. ეს თანხები ერთმანეთს დაუპირისპირდება და გამოირიცხება. მოთხოვნებისა და ვალდებულებების საბალანსო მუხლები ანულირდება შემდეგი გატარებით:

დებეტი – კრედიტორული დავალიანება

კრედიტი – დებიტორული დავალიანება

წლის ბოლოს შესაძლოა მიმდინარე ანგარიშები ერთმანეთს არ შეესაბამებოდეს, ვინაიდან კომპანიები ხშირად იყენებენ შუალედურ (გზაში მყოფი მუხლები) ანგარიშებს, როგორცაა საქონელი და ფულადი სახსრები.

თუ მშობელ და შვილობილ საწარმოებს შორის გადასაცემი საქონელი ან ფულადი სახსრები გზაში იმყოფება, უნდა გაკეთდეს მაკორექტირებელი გატარება მიმღების ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

გზაში მყოფი ფულადი სახსრების მაკორექტირებელი გატარება:

- დებეტი - ფულადი სახსრები გზაში
- კრედიტი - მოთხოვნების მიმდინარე ანგარიში

გზაში მყოფი საქონლისთვის მაკორექტირებელი გატარება იქნება:

- დებეტი - მარაგი
- კრედიტი - ვალდებულებების მიმდინარე ანგარიში

აღნიშნული კორექტირებები მხოლოდ კონსოლიდაციას ემსახურება.

დივიდენდებთან დაკავშირებით ფასს 10-ს „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება „ შემდეგი მოთხოვნები აქვს ბალანსისთვის :

ა. გადახდილი დივიდენდები არ ექვემდებარება არანაირ კორექტირებას, ისინი ასახულია მიმღები და გადამხდელი საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში.

ბ. დარიცხული დივიდენდები კორექტირდება: გადამხდელი საწარმოს მიერ აღიარებული ვალდებულება და მიმღები საწარმოს მიერ აღიარებული მოთხოვნა კონსოლიდაციის დროს ანულირებდება შემდეგი გატარებით:

დებეტი \_ გადასახდელი დივიდენდები

კრედიტი \_ მისაღები დივიდენდები

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება დივიდენდები:

- გადახდილი დივიდენდები \_ მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ თავისი აქციონერებისათვის, რაც აისახება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში;
- მიღებული დივიდენდები \_ მხოლოდ სხვა ინვესტიციებიდან მიღებული და არა შვილობილი და/ან მეკავშირე საწარმოებიდან <sup>12</sup>

გადასახდელი პროცენტი მიმღებ საწარმოში აღიარდება მოთხოვნად, გადამხდელ საწარმოში \_ ვალდებულებად, კონსოლიდაციის დროს მოხდება მათი ანულირება.

---

<sup>12</sup>კორპორაციული ანგარიშგება, კვატაშიძე. ნ, თბილისი 2018, გვ.257

## თავი 2. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება სს ჰოსპიტალის მაგალითზე

### 2.1. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების (შემდგომში „ბალანსი“) ძირითადი მიზანია ასახოს ჯგუფის აქტივები და ვალდებულებები. კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ასახავს:

- მთელი ჯგუფის (მშობელი და შვილობილი საწარმო) წმინდა აქტივებს;
- ჯგუფის სააქციო კაპიტალს, რაც ყოველთვის მხოლოდ მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალის ტოლია;
- გაუნაწილებელ მოგებას, რომელიც შედგება ჯგუფის მიერ მიღებული მოგებისაგან (ე.ი. მშობელი საწარმოს წარსული პერიოდის მოგება + შვილობილი საწარმოს შეძენის შემდეგ მიღებული მოგება).

ამ მიზნის მისაღწევად, ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ მარტივი დაჯამებები არაა საკმარისი. ხშირად საჭიროა მრავალი გაანგარიშების გაკეთება, რომლებიც კონსოლიდაციის ცხრილში მოიყრის თავს და დაგვეხმარება კონსოლიდაციის პროცედურების განხორციელებაში. ეს პროცედურები კი შემდეგია :

1. მშობელი საწარმოს ბალანსში ასახული „შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების“ მუხლის ელიმინირება შვილობილი საწარმოს შესამაბისი წმინდა აქტივებით;
2. გუდვილის და არამაკონტროლებელი წილის გაანგარიშება;
3. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგებისა და რეზერვების გაანგარიშება;
4. შიდაჯგუფური ოპერაციების ელიმინირება.

შვილობილ საწარმოში ფლობილი ინვესტიცია, რომელიც ნაჩვენებია მშობელი საწარმოს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ჩანაცვლებულია შვილობილი

საწარმოს წმინდა აქტივებით, შვილობილ საწარმოში დაბანდებული ინვესტიციების თვითღირებულება ანულირდება შვილობილი საწარმოს სააქციო კაპიტალთან და რეზერვებთან ერთად; ჯგუფის სააქციო კაპიტალი ყოველთვის მხოლოდ მშობელი საწარმოს სააქციო კაპიტალია.

კონსოლიდირებული ბალანსის მომზადებისას საწარმო თავად ირჩევს გუდვილისა და არამაკონტროლებელი წილის შეფასების მეთოდს. გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი ერთნაირად უნდა შეფასდეს: რეალური ღირებულებით/სრული გუდვილით ან პროპორციულობის გუდვილით. კონსოლიდაციის წესები კი შემდეგია:

1. გუდვილი და არამაკონტროლებელი წილი ფასდება რეალური ღირებულების მეთოდით ან პროპორციულობის მეთოდით (გუდვილი გაიანგარიშება როგორც სხვაობა შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების შესაძენად გადახდილ თანხასა და ამ წმინდა აქტივების რეალურ ღირებულებას შორის )
2. გუდვილი არ ამორტიზირდება, მას ყოველწლიურად უტარდება ტესტირება გაუფასურებაზე
3. კონსოლიდირებული ბალანსის საკუთარი კაპიტალის განყოფილებაში, მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა საკუთარი კაპიტალისგან განცალკევებით, არამაკონტროლებელი წილი ცალკე მუხლის სახით აისახება(რადგან გამოჩნდეს აქტივების ის ნაწილი, რომელსაც მშობელი საწარმო აკონტროლებს, მაგრამ მას არ ეკუთვნის)

არამაკონტროლებელი წილიც , თავის მხრივ, ფასდება ორი მეთოდიდან ერთ-ერთით:

1. შეძენის თარიღისათვის განსაზღვრული რეალური ღირებულებით/ არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთვნილებელი გუდვილით. ბალანსში ასახვის მიზნებისათვის კი გაიანგარიშება შემდეგნაირად: წილი (%)

წმინდა აქტივებში + მიკუთვნებული გუდვილი შეძენის თარიღისათვის - წილი (%) გუდვილის გაუფასურებაში,

2. პროპორციული წილის შესაბამისად. ბალანსში ასახვის მიზნებისათვის არამაკონტროლებელი წილი გაიანგარიშება როგორც წილი (%) წმინდა აქტივებში საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის.

შვილობილი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებიდან ჯგუფს ეკუთვნის მხოლოდ შეძენის შემდგომი მოგება. ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება არის მშობელი საწარმოს გაუნაწილებელი მოგებისა და შვილობილი საწარმოს შეძენის შემდგომი მოგების ჯამი, შემცირებული კომპენსაციის გაუფასურების ზარალით.

შიდაჯგუფური ვაჭრობისას უნდა დადგინდეს გამყიდველი მხარე და განისაზღვროს არარეალიზებული მოგება, შემდეგი პროცედურაა- გაუნაწილებელი მოგებისა და აქტივის თვითღირებულების შემცირება არარეალიზებული მოგების სიდიდით. კონსოლიდირებული ბალანსის მომზადებისთვის აუცილებელია შიდაჯგუფური საანგარიშსწორებო ოპერაციების, გადასახდელი დივიდენდებისა და პროცენტების ანულირება.

**ჯგუფის სტრუქტურა**

სს ჰოსპიტალი არის 2013 წელს დაფუძნებული ორგანიზაცია. მისი იურიდიული მისამართი საქართველოშია. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამედიცინო მომსახურების გაწევა. სს ჰოსპიტალი მოიცავს საქართველოში დაფუძნებულ შემდეგ შვილობილ და მეკავშირე კომპანიებს:

	წილობრივი მონაწილეობა			დაფუძნების თარიღი	შეძენის თარიღი
შვილობილი კომპანია	31-დეკ-2018	31-დეკ-2017	სფერო		

შპს მედილაბი	80%	80%	ჯანდაცვა	3-აგვ.-14	1-აგვ.-15
შპს პოლიკლინიკა	100%	100%	ჯანდაცვა	4-ივნ.-01	5-აგვ.-15
შპს რეფერალური ჰოსპიტალი	100%	100%	ჯანდაცვა	24-სექტ.- 10	5-აგვ.-17
შპს ახალი კლინიკა	80%	80%	ჯანდაცვა	16-აპრ.- 05	31-დეკ.-14
შპს დიაბეტ-ცენტრი	100%	100%	ჯანდაცვა	12-იანვ.- 12	02-ივლ.- 18
შპს სამი	100%	100%	ჯანდაცვა	13-თებ.- 15	05-ნოემბ.- 18
შპს მედიკ-ლაინი	100%	100%	ჯანდაცვა	14-მარტ.- 10	14-თებ.-14

	წილობრივი მონაწილეობა		სფერო	დაფუძნებ ის თარიღი	წილის შეძენის თარიღი
	31-დეკ- 2018	31-დეკ- 2017			
მეკავშირე კომპანია					
შპს №2 საავადმყოფო	35%	35%	ჯანდაცვა ა	3-მაის.-14	5-აგვ.-18

სს ჰოსპიტალი შვილობილ კომპანიებთან ერთად სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებული საავადმყოფოებისა და კლინიკების ქსელის მეშვეობით. მსგავსი პროფილისაა მისი მეკავშირე საწარმო-შპს №2 საავადმყოფოც, რომელიც სამედიცინო მომსახურებას უწევს სტაციონარულ და ამბულატორიულ მომხმარებლებს

თბილისში არსებული საავადმყოფოს და კლინიკების მეშვეობით. კომპანია, ნაშრომში ნახსენებ შვილობილ კომპანიებთან ერთად, მოიხსენება, როგორც „ჯგუფი“.

კომპანიის უმსხვილესი დებიტორი სახელმწიფოა, რომლის მიმართაც კომპანიას მოთხოვნა გააჩნია „საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამის“ (ე.წ. „სჯკ“) ფარგლებში. ეს პროგრამა სახელმწიფომ 2013 წელს შემოიღო და ის ფარავს საქართველოს მთელს მოსახლეობას, მათ შორის 2 მილიონზე მეტ ისეთ ადამიანს, რომლებსაც ამ პროგრამის შემოღებამდე არ ჰქონდათ ჯანმრთელობის დაზღვევა.

სს ჰოსპიტალი შპს №2 საავადმყოფოს 35% პროცენტს ფლობს და აქვს მნიშვნელოვანი გავლენის უფლება. მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე, ან თუ მხარეები ერთი და იმავე ჯგუფის შვილობილი კომპანიებია. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას. დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის. თუმცა სს ჰოსპიტალსა და შპს №2 საავადმყოფოს შორის დადებული ყველა გარიგება, განხორციელდა გამლლილი ხელის პრინციპით.

2018 წლისა და 2017 წლის (შემენის წელი) 31 დეკემბრის მდგომარეობით, სს ჰოსპიტალის 100%-იანი წილის მფლობელი იყო სს „ინტეგრალი“ (შემდგომში „მშობელი კომპანია“). ეს უკანასკნელი არის ჰოლანდიაში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიის- „ჰოსპისის“ 100%-იან საკუთრებაში მყოფი შვილობილი კომპანია, შესაბამისად სს ჰოსპიტალის შედეგები კონსოლიდირდება „ჰოსპისის“ ფინანსურ ანარიშგებებში, რომელიც მისი საბოლოო მშობელი კომპანიაა. უშუალოდ სს ჰოსპიტალი მოიცავს საქართველოში

დაფუძნებულ ათამდე შვილობილ კომპანიას, რომელთა მონაცემები კონსოლიდირდება სს ჰოსპიტალის ანგარიშგებებში.

სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

აღსანიშნავია, რომ მშობელი და მისი ყველა შვილობილი კომპანია იყენებს ერთიან სააღრიცხვო პოლიტიკას, რომელიც შეესაბამება ჯგუფის პოლიტიკას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და თავდაპირველი ღირებულების პრინციპის საფუძველზე. წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების ძირითად დაშვებაზე – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით. ამ პრინციპის გამოყენება სავალდებულოა მანამ, სანამ საწარმოს ხელმძღვანელობა ნებაყოფლობით შეწყვეტს საწარმოს ოპერაციებს, ან/და მოხდება საწარმოს ლიკვიდაცია. აუდიტის პროცესში დადგინდა, რომ საწარმოს მენეჯმენტს, ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში მართებულად აქვს გამოყენებული ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი.

**სს ჰოსპიტალის ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიშგება 31  
დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	31	31
	დეკემბერი,	დეკემბერი,

	2018 წ	2017 წ
<b>აქტივები</b>	<b>29,203</b>	<b>11,177</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	6,218	–
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები	104,083	86,590
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	19,873	14,712
მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება	7,104	–
გადახდილი ავანსები	22,871	24,914
ძირითადი საშუალებები	610,683	560,280
გუდვილი და სხვა არამატერიალური აქტივები	57,193	35,268
გადავადებული საგადასახადო აქტივი	270	889
სხვა აქტივები	17,615	30,900
<b>სულ აქტივები</b>	<b>875,113</b>	<b>764,730</b>
<b>ვალდებულებები</b>		
კრედიტორული დავალიანება	52,801	33,040
სახელფასო ვალდებულება	18,154	14,150
ვალდებულება შეძენილ აქციებზე	5,850	3,953
ნასესხები სახსრები	167,829	156,177
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	93,493	36,024
ფინანსური იჯარის ვალდებულებები	8,834	14,878
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	72	257
სხვა ვალდებულებები	4,604	6,676
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>351,637</b>	<b>265,155</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>		

საწესდებო კაპიტალი	53,954	53,076
დამატებით შეტანილი კაპიტალი	282,260	274,129
სხვა რეზერვები	(209)	4,739
გაუნაწილებელი მოგება	122,755	111,487
<b>კომპანიის აქციონერებისთვის განკუთვნილი მთლიანი კაპიტალი</b>	<b>458,760</b>	<b>443,431</b>
არამაკონტოლებელი წილი	64,716	56,144
<b>სულ კაპიტალი</b>	<b>523,476</b>	<b>499,575</b>
<b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>	<b>875,113</b>	<b>764,730</b>

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს სს ჰოპიტალისა და მისი შვილობილი კომპანიების ფინანსურ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. შვილობილი საწარმოს კონსოლიდაცია იწყება მაშინ, როდესაც ჯგუფი მოიპოვებს კონტროლს შვილობილ საწარმოზე და წყდება მაშინ, როდესაც ჯგუფი კარგავს მასზე კონტროლს.

ჯგუფი ხელახლა შეაფასებს, აკონტროლებს თუ არა ინვესტიციის ობიექტს, თუ ფაქტები და გარემოებები იმაზე მიანიშნებს, რომ კონტროლის სამი ელემენტიდან ერთ-ერთში ცვლილებებია მომხდარი. შვილობილი საწარმოს წლის განმავლობაში შექმნილი ან გასხვისებული აქტივები, ვალდებულებები, შემოსავალი და ხარჯები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შვილობილ საწარმოზე ჯგუფის მიერ კონტროლის შექმნის თარიღიდან კონტროლის დაკარგვის თარიღამდე. მოგება ან ზარალი მიეკუთვნება ჯგუფის აქციონერებსა და არამაკონტოლებელი წილის მფლობელებს მაშინაც კი, თუ ეს არამაკონტოლებელი წილის ბალანსის დეფიციტს იწვევს. საჭიროების შეთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების კორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში

მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. ჯგუფის წევრებს შორის შემდგარ გარიგებებთან დაკავშირებული ყველა ჯგუფის შიდა აქტივი და ვალდებულება, კაპიტალი, შემოსავალი, ხარჯი და ფულადი ნაკადი კონსოლიდაციისას მთლიანად ანულირდება. შვილობილი კომპანიებისგან მიღებული დივიდენდების მშობელი კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარება ხდება, როდესაც დადგენილია მშობელი კომპანიის უფლება დივიდენდების მიღებაზე.

სს ჰოსპიტალმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია შპს დიაბეტ-ცენტრის შესყიდვით. 2018 წლის 20 ივლისს სს ჰოსპიტალმა (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა შპს დიაბეტ-ცენტრის (შემდგომში-შვილობილი ) შვილობილი კომპანიის აქციების 100%.

შემენის თარიღისთვის შვილობილი კომპანიის იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები ასეთი იყო (ათასი ლარი):

	შემენისას აღიარებული რეალური ღირებულება
<b>კომპენსაცია</b>	<b>6,650</b>
<b>აქტივები</b>	
ძირითადი საშუალებები	1,953
<b>სულ აქტივები</b>	<b>1,953</b>
<b>ვალდებულებები</b>	
კრედიტორული დავალიანება	3
სახელფასო ვალდებულება თანამშრომლებისადმი	75

სხვა ვალდებულებები	6
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>84</b>
<b>სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები</b>	<b>1,869</b>
არამაკონტროლებელი წილის მფლობელებისთვის	–
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	4,781

კომპენსაციამ შეადგინა **6,650** ათასი ლარი. აქედან 6,535 ათასი ლარი ნაღდ ფულად იქნა გადახდილი, ხოლო 115 ათასი ლარი შემდგომი გადახდის პირობით გადაიხდება. შეძენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება: (ათას ლარში)

გადახდილი ნაღდი ფული	6,535
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	–
<b>წმინდა ფულადი სახსრების გადინება</b>	<b>6,535</b>

ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენდა ჯგუფის ღირებულებაზე. შეძენის შემდეგ, შპს დიაბეტ-ცენტრმა აღიარა 2,302 ათასი ლარის შემოსავალი და 996 ათასი ლარის მოგება. 2018 წელს შეძენილი საწარმოს შემოსავალი და მოგება, შესაბამისად, შეადგენდა 4,832 ათას ლარსა და 1,648 ათას ლარს. სს ჰოსპიტალმა შპს დიაბეტ-ცენტრი შეიძენა 2018 წლის 20 ივლისს, თუმცა საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 265,218 ათასი

ლარი, ხოლო მოგება 19,172 ათასი ლარი იქნებოდა. ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ზრდაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია.

გუდვილი დაიტესტა ხელმძღვანელობის მიერ დაფიქსირებულ ყველაზე დაბალ დონეზე, რაც საოპერაციო სეგმენტის დონეს წარმოადგენს. ჯგუფი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. ბოლო ტესტირება 2018 წლის 31 დეკემბრისთვის ჩატარდა. ჯგუფს არ გამოუვლენია გუდვილის რამე გაუფასურება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულების ანაზღაურებადი ღირებულებები განისაზღვრა ხელმძღვანელობის ზედა რგოლის მიერ დამტკიცებულ, ერთიდან სამ წლამდე ვადის, ფინანსურ ბიუჯეტებზე დაყრდნობით ფულადი ნაკადების პროგნოზების გამოყენებით გაანგარიშებული გამოყენების ღირებულების საფუძველზე.

2018 წლის 5 ნოემბერს სს ჰოსპიტალმა (შემდგომში „მყიდველი საწარმო“) ინდივიდუალური ინვესტორებისგან შეისყიდა შპს „სამის“ აქციების 100%. შპს „სამი“ არის საქართველოში მოქმედი ჯანდაცვის მომსახურების კომპანია. შეძენის თარიღისთვის შპს „სამის“ იდენტიფიცირებადი აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულებები ასეთი იყო:

(ათასი ლარი)

	შეძენისას აღიარებული რეალური ღირებულება
კომპენსაცია (ანაზღაურება)	900
აქტივები	
ძირითადი საშუალებები	86
არამატერიალური აქტივები	3
სულ აქტივები	89

<b>ვალდებულებები</b>	
ნასესხები სახსრები	103
კრედიტორული დავალიანება	12
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	18
სხვა ვალდებულებები	7
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>140</b>
<b>სულ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივები</b>	<b>-51</b>
არამაკონტროლებელი წილი	-
შესყიდვის შედეგად მიღებული გუდვილი	951

\* კომპენსაციამ შეადგინა 900 ათასი ლარი. აქედან 700 ათასი ლარი ნაღდი ფულით იქნა გადახდილი, ხოლო 200 ათასი ლარი შემდგომი გადახდის პირობით გადაიხდება.

შემენასთან დაკავშირებით წმინდა ფულადი ნაკადების გადინება ასე გამოიყურება:

(ათასი ლარი)

გადახდილი ნაღდი ფული	700
შვილობილი კომპანიის შეძენის შედეგად მიღებული ნაღდი ფული	-
<b>წმინდა ფულადი სახსრების გადინება</b>	<b>700</b>

ჯგუფმა გადაწყვიტა გაეზარდა თავისი წილი და ინვესტიცია ჯანდაცვის რეგიონულ ბაზარზე შპს “სამის“ შესყიდვით. ხელმძღვანელობის აზრით, ეს გარიგება დადებით გავლენას მოახდენს ჯგუფის ღირებულებაზე. შეძენის შემდეგ, შპს სამის შემოსავალი იყო 230 ათასი ლარი, ხოლო მოგება 50 ათასი ლარი. 2018 წელს შეძენილი საწარმოს შემოსავალი 609 ათას ლარს, ხოლო მოგება 72 ათას ლარს შეადგენდა. ლარს. სს ჰოსპიტალმა შპს სამი 2018 წლის 5 ნოემბერს შეიძინა, თუმცა

საწარმოთა გაერთიანება წლის დასაწყისში რომ მომხდარიყო, ჯგუფის შემოსავალი 263,067 ათსი ლარი, ხოლო მოგება 18,542 ათასი ლარი იქნებოდა. ძირითადი ფაქტორი, რამაც წვლილი შეიტანა საწარმოთა გაერთიანების ღირებულების ზრდაში, რის შედეგადაც მოხდა გუდვილის აღიარება შეძენის დროს, არის ჯგუფის ოპერაციებზე ასახული დადებითი სინერგია.

**სასაქონლო-მატერიალური მარაგები** - მოიცავს სამედიცინო და არასამედიცინო მარაგებს და თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით, ხოლო ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის - თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებსა და ამჟამინდელ ადგილმდებარეობამდე და მდგომარეობამდე მათ მისაყვანად გაწეულ ხარჯებს.

**ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები** - ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან, მიმდინარე ანგარიშებისგან და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნებისაგან, რომლებსაც აქვს განთავსებიდან სამი თვის ვადა, რომელთა კონვერტირებაც დაუყოვნებლივ შეიძლება წინასწარ ცნობილ თანხად, აქვს ღირებულების შეცვლის უმნიშვნელო რისკი და თავისუფალია სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან.

**ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშები**- სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშების აღიარება თავდაპირველად ხდება გარიგების ფასად, რომელიც ითვლება რეალურ ღირებულებად წარმოქმნის თარიღისთვის. ამის შემდეგ ისინი ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, რასაც აკლდება გაუფასურების რეზერვი. თუმცა, რეალურად, კომპანიის მოთხოვნები სამედიცინო მომსახურებებიდან აღირიცხება საბაზრო ღირებულებით მინუს

გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების მიდგომასთან დაკავშირებით შპს ჰოსპიტალი იყენებ სამ სხვადასხვა მეთოდს დებიტორული დავალიანების ტიპის მიხედვით:

1. ინდივიდუალური შეფასება სახელმწიფოსგან მისაღები ანგარიშებისთვის;
2. ინდივიდუალური შეფასება ყველა სხვა არსებითი დებიტორული დავალიანებისთვის (რომელთა ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება); და
3. ერთობლივი (კოლექტიური) შეფასება ყველა სხვა დებიტორული დავალიანებისთვის. საერთო საკრედიტო მახასიათებლების მქონე დებიტორული დავალიანებები გაერთიანდება სხვადასხვა პორტფოლიოებში ერთობლივი (კოლექტიური) შეფასების მიზნით .

მთავრობისგან მისაღებ ანგარიშებს გააჩნიათ უნიკალური საკრედიტო მახასიათებლები, რომლებიც განსხვავდება ნებისმიერი სხვა ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო მახასიათებლებისგან, სწორედ ამიტომ განიხილება მთავრობისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების საკითხი ინდივიდუალურად.

იმ მოვალეების შემთხვევაში, რომელთაგან მისაღები ანგარიშების ნაშთი 250 ათას ლარს აღემატება, საკრედიტო რისკი განისაზღვრება კვარტალურად ,გამოცდილების, ხელმძღვანელობის პროფესიული განსჯისა და სამომავლო მოლოდინების საფუძველზე.

ფასს 9-ის შესაბამისად სადაზღვევო კომპანიებისგან, სხვა მსხვილი კონტრაგენტებისგან, ასევე ფიზიკური პირებისა და სხვა მცირე კონტრაგენტებისგან მისაღები ანგარიშების გაუფასურების კოლექტიურად შეფასების მიზნით, მოვალეების პორტფოლიოები გადანაწილებულია სხვადასხვა რისკების კალათებში ვადაგადაცილებული დღეების რაოდენობის საფუძველზე. ვალდებულების შეუსრულებლობის დადგენისთვის 180-დღიანი გამიჯვნის ვადის დაწესებით, ჯგუფმა მხედველობაში მიიღო სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა მსხვილი

კონტრაგენტების რეალური გადახდების ისტორია. 3-დან 6 თვემდე ვადაგადაცილება საკმაოდ ხშირი იყო კრედიტუნარიანი კონტრაგენტების შემთხვევაში, ხოლო 6 თვეზე მეტი ვადით ვადაგადაცილება გადახდების ისტორიაში უკვე ფინანსურ პრობლემებზე მიუთითებდა. სტატისტიკა ეყრდნობოდა ჯგუფის შიდა მონაცემებს. შეიქმნა ხუთი ცალი რისკის კალათა:

ვადაგადაცილების დღეები	კატეგორია	აღწერა
0-30	A	ძალიან კარგი
31-60	A	კარგი
61-90	B	ნორმალური
91-180	C	ცუდი
181+	D	ვალდებულების შეუსრულებლობა

სს კოსპიტალმა მიიღო გამარტივებული მიდგომა სავაჭრო დებიტორული ანგარიშებისთვის და პირდაპირ განიხილავს ზარალს სრულად მთელი პორტფოლიოსთვის, ე. ი. მოსალოდნელი სრული საკრედიტო ზარალის აღიარება მოხდება მთელი პორტფოლიოსთვის, განურჩევლად იმისა ადგილი ჰქონდა თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას პირველადი აღიარების შემდგომ.

**ფინანსური აქტივები** -ბასს 39-ის შესაბამისად, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება რეალური ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად. ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული რეალური ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. ჯგუფი თავისი ფინანსური აქტივების

კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. ჯგუფს არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან რეალური ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში ასახული ფინანსური აქტივები. სს ჰოსპიტალს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები შეფასებული აქვს აქტიური ბაზრის მონაცემების გამოყენებით. მისი ფინანსური ინსტრუმენტები მოიცავს ფორვარდულ სავალუტო კონტრაქტებს. ფორვარდული კონტრაქტი წარმოებული ფასიანი ქაღალდია, რომელსაც საფუძვლად უდევს ორმხრივი შეთანხმება მხარეებს შორის რაიმე აქტივის (საქონლის, ფასიანი ქაღალდების, ვალუტის) მოწოდებაზე განსაზღვრულ დროში და შეთანხმებულ ფასში. ფორვარდული კონტრაქტები ორგანიზაციებს უფლებას აძლევს დაგეგმონ თავიანთი მსხვილი ხარჯები გარკვეული ვადით. შეფასების გამოყენებული მეთოდია ფორვარდული ფასწარმოქმნის მოდელი, დღევანდელი ღირებულების გამოთვლის გამოყენებით. მოდელი იყენებს სხვადასხვა ამოსავალ მონაცემს, მათ შორის, სავალუტო სპოტ და ფორვარდულ კურსებს.

(ათასი ლარი)

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა აქტივები: წარმოებული ფინანსური აქტივები	130	6,277

უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული რისკის სამართავად ჯგუფი იყენებს სავალუტო ოფციონებს და ფორვარდულ კონტრაქტებს. ამგვარი ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება რეალური ღირებულებით. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი რეალური ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი რეალური ღირებულება უარყოფითია. წარმოებული კონტრაქტებიდან გამომდინარე მოგება და ზარალი აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში უცხოური ვალუტებიდან მიღებული წმინდა მოგების / (ზარალის) ნაწილში.

ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე. სესხები და მისაღები ანგარიშები არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები, ფიქსირებული ან განსაზღვრადი გადახდებით, რომლებიც არ არის კოტირებული აქტიურ ბაზარზე. ამ ინვესტიციების აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს ინვესტიციის შესაძენად გადახდილი კომპენსაციის რეალურ ღირებულებას. ინვესტიციის თვითღირებულებაში შედის მის შეძენასთან უშუალოდ დაკავშირებული ყველა გარიგების დანახარჯი. თავდაპირველი აღიარების შემდეგ ინვესტიციები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გაანგარიშებისა და შესაბამის პერიოდზე საპროცენტო შემოსავლისა და საპროცენტო ხარჯის განაწილების მეთოდი..

### **წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გარიგებები**

თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების ხარჯი ფასდება ოპერაციის თარიღისთვის გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტების რეალური ღირებულების საფუძველზე. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდში, რომლის განმავლობაშიც შესრულდა სამუშაო და/ან გაიწია მომსახურება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“). უფლების გადაცემის თარიღამდე ანგარიშგების შედგენის ყოველი თარიღით აღიარებული წილობრივი ინსტრუმენტებით განხორციელებული ოპერაციების მთლიანი ხარჯი აისახება უფლების გადაცემის პერიოდის ამოწურვის პროპორციულად და წილობრივი ინსტრუმენტების რაოდენობის მიხედვით,

რომლებიც, ჯგუფის შეფასებით, გაიცემა უფლების გადაცემის თარიღისთვის. კონსოლიდირებული მოგების ან ზარალის დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული მთლიანი ხარჯების მოძრაობას.

### **გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები**

2018 წლის ივლისში ჯგუფმა გამოუშვა 90 მილიონი ლარის 5-წლიანი ვადის მქონე ადგილობრივი სავალო ფასიანი ქაღალდები. სავალო ფასიანი ქაღალდები გამოიშვა ნომინალური ღირებულებით, და მათი წლიური განაკვეთი იყო 10.75%. მოგება გამოყენებულ იქნა ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის, რომლებიც ფინანსირების შედარებით უფრო ძვირადღირებულ წყაროს წარმოადგენს, და ასევე გეგმიური მიმდინარე კაპიტალური დანახარჯების დაფინანსებისთვის. 2018 წლის 31 დეკემბრისთვის დაუფარავი ნაშთი 93,493 ლარს შეადგენდა (2017 წ.: 36,024 ლარი). 2017 წელს ჯგუფმა ნაადრევად გამოისყიდა 34,197 ლარის (2017 წ.: 3,497 ლარი) სავალო ფასიანი ქაღალდები.

### **საწესდებო კაპიტალი**

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ნებისმიერი რეალური ღირებულების მქონე მიღებული საფასური აღირიცხება, როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჰოსპიტალის მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა იყო 53,953,963 (2017 წ.: 53,075,808). თითოეული აქციის ნომინალური ღირებულება 0.1 ლარს შეადგენდა და მათგან ყველა სრულად იყო განაღდებული. 2018 წელს კომპანიის მთლიანი კაპიტალი წინა წელთან შედარებით 2 მილიონ ლარზე მეტით გაიზარდა. კომპანიის

მფლობელობაში არსებული ჰოსპიტლები შემოსავლების მხრივ სწრაფი ორგანული ზრდით გამოირჩევიან.

## დივიდენდები

დივიდენდები უნდა აღიარდეს, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე. ჯგუფის საწესდებო კაპიტალი აქციონერების მიერ შევსებულია ლარში და დივიდენდების მიღების უფლებაც მიენიჭათ ლარში, თუმცა 2018 ან 2017 წელს დივიდენდები არ გამოცხადებულა და არ განაწილებულა.<sup>13</sup>

**ძირითადი საშუალებები-** ძირითადი საშუალებები, აღრიცხულია თვითღირებულებით, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურება. ამ თანხაში ჩართულია ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია. საავადმყოფოებისა და კლინიკების კატეგორიაში შედის შენობები და შესაბამისი მიწის ნაკვეთები, სადაც განთავსებულია რეფერალური საავადმყოფოები, ფართო პროფილის საავადმყოფოები და ამბულატორიული კლინიკები. თვითღირებულებით პირველადი აღიარების შემდეგ საავადმყოფოები და კლინიკები აისახება გადაფასებული ღირებულებით, რაც წარმოადგენს მათ რეალურ ღირებულებას გადაფასების თარიღისათვის გამოკლებული შემდგომში დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი. შეფასება ტარდება იმდენად ხშირად (საბაზრო ღირებულების ცვლილების მონიტორინგი, მინიმუმ, წელიწადში ერთხელ

---

<sup>13</sup> დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა, „სს ჰოსპიტალი“

ხდება), რომ გადაფასებული აქტივის რეალური ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს მისი საბალანსო ღირებულებისგან. ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით. 2018 წელს, მიწისა და საოფისე შენობების, საავადმყოფოებისა და კლინიკების რეალური ღირებულების განსაზღვრის მიზნით, სს ჰოსპიტალმა დამოუკიდებელ შემფასებელს შეაფასებინა ქონება. შედეგად, გამოვლინდა 4,866 ლარის ოდენობით გაუფასურება. ამ თანხიდან 4,460 მიკუთვნებადი იყო კომპანიის აქციონერებისთვის, ხოლო 406 ლარი - არასაკონტროლო პაკეტის მფლობელებისთვის. გაუფასურება ძირითადად გამოწვეული იყო აშშ დოლარის გაუფასურებით ლარის მიმართ, ვინაიდან საქართველოში უძრავ ქონებასთან დაკავშირებული პროცესები კორელაციაშია აშშ დოლარი - ლარის სავალუტო კურსთან. ხოლო რეალური ღირებულება განსაზღვრულია საბაზრო მონაცემების შესაბამისად.

## **2.2. კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება**

კონსოლიდირებული ფინანსური მოგებისა და ზარალის ანგარიშგება ასახავს ჯგუფის ერთიან შედეგებს - შემოსავლებსა და ხარჯებს და მათგან მიღებულ მშობელი და შვილობილი საწარმოს მიერ ერთობლივად შექმნილ მოგებას. ის ეყრდნობა შემდეგ ძირითად დაშვებებს: ამონაგების მუხლიდან დაბეგვრის შემდგომი მოგების მუხლამდე მოიცავს მშობელი საწარმოს ყველანაირ შემოსავალსა და ხარჯს პლიუს შვილობილი საწარმოების ყველანაირი შემოსავალი და ხარჯი; და დაბეგვრის შემდგომი მოგების შემდეგ გამოკლებულია არამაკონტროლებელ წილზე მისაკუთრებული მოგების ნაწილი.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებისათვის საკმარისი არაა მშობელი და შვილობილი კომპანიების მხოლოდ შემოსავლებისა და ხარჯების მუხლების შეკრება. იმისათვის, რომ ჯგუფის საერთო სურათი დავინახოთ, უნდა გავიანგარიშოთ :

1. ჯგუფის სტრუქტურა (წილები);
2. შეძენისას შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივები;
3. გუდვილი და გუდვილის გაუფასურება;
4. არარეალიზებული მოგება;
5. არამაკონტროლებელი წილი.

კორექტირებების ჩასატარებლად გამოიყენება ე.წ. „კორექტირების ცხრილი“. კონსოლიდაციის ცხრილი გამოიყენება, როგორც ინსტრუმენტი მშობელი და შვილობილი საწარმოების შემოსავლებისა და ხარჯების გასაერთიანებლად და ყველანაირი აუცილებელი კორექტირების ჩასატარებლად.

კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგება შედგება ორი განყოფილებისაგან, რომელსაც პირობითად უწოდებენ პირველ და მეორე განყოფილებას:

1. პირველი განყოფილება ასახავს მშობელი და შვილობილი საწარმოების წმინდა აქტივებით მიღწეულ შედეგს. ამ განყოფილებაში 100%-ით არის გაერთიანებული მშობელი და შვილობილი საწარმოების ყველა სათანადო მუხლები: ამონაგები, რეალიზებული საქონლის თვითღირებულება, ხარჯები, მოგება დაბეგვრამდე და დაბეგვრის შემდეგ.
2. მეორე განყოფილებაში ნაჩვენებია პირველ განყოფილებაში ასახული მოგების განაწილება მის მფლობელთა შორის: მშობელი საწარმოს აქციონერთა მესაკუთრეებსა და არამაკონტროლებელი წილის მესაკუთრეებს შორის. ანუ

მეორე განყოფილება გვიჩვენებს პირველში ასახული მოგებიდან, რამდენი ეკუთვნის მშობელი საწარმოს აქციონერებს და რამდენი არ ეკუთვნით მათ.

როდესაც წლის მანძილზე გუდვილის გაუფასურება გამოვლინდება, მოცემულ წელს ეს თანხა უნდა აისახოს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, ჩვეულებრივ, საოპერაციო ხარჯებში.

არამაკონტროლებელი წილი გაიანგარიშება დაბეგვრის შემდგომი მოგებიდან, დივიდენდების გადახდამდე. არამაკონტროლებელი წილი გამოითვლება შემდეგნაირად: არამაკონტროლებელი წილის % \* შვილობილი საწარმოს დაბეგვრის შემდგომი მოგება.

შვილობილი საწარმოს მიერ მშობელი საწარმოსთვის დივიდენდების გადახდა უნდა გამოირიცხოს. ამის შედეგად :

- კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება მხოლოდ მშობელი საწარმოს მიერ თვისი აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდები.
- ნებისმიერი დივიდენდური შემოსავალი, რომელიც კონსოლიდირებულ მოგებასა და ზარალის ანგარიშგებაში აისახება, არ უნდა იყოს წარმოშობილი შვილობილ ან მეკავშირე საწარმოებში ჩადებული ინვესტიციიდან.
- ასევე, შვილობილი საწარმოს არამაკონტროლებელი წილი გამოითვლება დაბეგვრის შემდგომი მოგებიდან, დივიდენდების გადახდამდე.
- მშობელი საწარმოს მესაკუთრეთა მოგება კონსოლიდირებულ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში შემცირებულია მიღებული დივიდენდებით. მაგრამ ბალანსში ჯგუფის გაუნაწილებელი მოგება იქნება გაზრდილი ამ სიდიდით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს საანგარიშგებო პერიოდში მშობელი საწარმოსა და მისი შვილობილი საწარმოების მიერ ერთობლივად განხორციელებული ვაჭრობის შედეგებს, შესაბამისად კონსოლიდირებული მოგებისა

და ზარალის ანგარიშგებიდან აუცილებლად უნდა გამოირიცხოს შიდაჯგუფური ვაჭრობის შედეგები. თუ ჯგუფში რეალიზებული საქონელი საანგარიშგებო თარიღისათვის არის მარაგში, მისი ღირებულება უნდა დაკორექტირდეს ჯგუფის მიმართ არსებულ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე. კერძოდ, კონსოლიდაციის ცხრილში, გამყიდველის სვეტში არარეალიზებული მოგების შესაბამისი კორექტირება ნაჩვენებია უნდა იყოს როგორც რეალიზებული საქონლის თვითღირებულების ზრდა. როდესაც შიდაჯგუფური ვაჭრობა გრძელვადიან აქტივს ეხება, კონსოლიდაციის დროს საჭირო იქნება შემდეგი კორექტირების გაკეთება: არარეალიზებული მოგების თანხით უნდა შემცირდეს შემოსავალი და აქტივის საბალანსო ღირებულება; გამოირიცხოს გრძელვადიანი აქტივის გაყიდვიდან წარმოქმნილი არარეალიზებული მოგება ან ზარალი; დარიცხული ცვეთა ისე უნდა შესწორდეს, რომ ის ეფუძნებოდეს აქტივის თვითღირებულებას ჯგუფის პოზიციიდან.

ქვემოთ მოცემულია პრაქტიკული მაგალითი, საქართველოში არსებული სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგებიდან.

**სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული მოგება ზარალის ანგარიშგება:**

(ათას ლარში)

–	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წელი
შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან	262,688	243,453
ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება	(150,243)	(130, 69)

<b>საერთო მოგება</b>	<b>112,445</b>	<b>113,084</b>
სხვა საოპერაციო შემოსავალი	11,149	2,059
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(31,119)	(20,977)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(13,460)	(10,183)
ჯანდაცვის მომსახურებიდან მისაღები ანგარიშებისა და სხვა დებიტორული დავალიანების გაუფასურება	(4,107)	(1,881)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(11,670)	(2,279)
ცვეთა და ამორტიზაცია	(23,177)	(18,287)
საპროცენტო შემოსავალი	3,845	773
საპროცენტო ხარჯი	(17,206)	(13,498)
წმინდა ზარალი უცხოური ვალუტიდან და უცხოურ ვალუტაში განსაზღვრული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება	(5,379)	(1,985)
წმინდა არარეგულარული ხარჯი / შემოსავალი	(2,790)	3,282
<b>მოგება დაბეგვრამდე</b>	<b>18,531</b>	<b>50,108</b>
მოგების გადასახადის (ხარჯი)/სარგებელი	(11)	22,054
<b>წლის მოგება</b>	<b>18,520</b>	<b>72,162</b>
<b>წლის მოგება, განკუთვნილი:</b>		
- კომპანიის აქციონერებისთვის	12,803	61,034
- არამაკონტოლებელი წილის მფლობელებისთვის	5,717	11,128

თუ შვილობილი საწარმო შექმნილ იქნა წლის განმავლობაში, შვილობილი საწარმოს შედეგების კონსოლიდაცია უნდა მოხდეს შექმნის თარიღიდან, ე.ი იმ თარიღიდან, როდესაც მოხდა საწარმოზე კონტროლის აღება.

ამსთან დაკავშირებით მოითხოვება:


- შვილობილი საწარმოს წმინდა აქტივების დადგენა შექმნის თარიღისათვის, გუდვილის გამოსათვლელად.
- შექმნის წელს მიღებული შვილობილი საწარმოს შედეგების მიკუთვნება დროის პროპორციულად. ამ მიზნით, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული, იგულისმხება რომ ამონაგების და ხარჯების დარიცხვა თანაბარზომიერად ხდება.

შვილობილი საწარმოს შედეგების დროს პროპორციულად განაწილების შემდეგ , როგორც წესი, გამოიქვითება შექმნის შემდგომი შიდაჯგუფური მუხლები.

**შემოსავალი ჯანდაცვის მომსახურებიდან** - ჯგუფი შემოსავლებს აღიარებს იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი მოიცავს სტაციონარული და ამბულატორიული მომსახურებისთვის მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალურ ღირებულებას, და შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სახელმწიფოსგან - ჯგუფი სახელმწიფო პროგრამით დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

- ჯანდაცვის მომსახურების შემოსავალი სადაზღვევო კომპანიებისგან - ჯგუფი სხვადასხვა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაზღვეული პირებისგან მიღებულ შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და კონტრაგენტებს შორის შეთანხმებული პირობების შესაბამისად.
- ჯანდაცვის მომსახურებიდან თანაგადახდის და სხვ. შედეგად მიღებული შემოსავალი - ჯგუფი თანაგადახდიდან მიღებულ და სხვა შემოსავალს აღიარებს ფაქტობრივი სამედიცინო მომსახურების დასრულების ეტაპისა და ჯგუფის მიერ დამტკიცებული ფასების შესაბამისად.



გაყიდვებიდან შემოსავალი მიიღება ნაღდი ფულით ან საკრედიტო ბარათით. სამედიცინო მომსახურებიდან მიღებული სხვა შემოსავალი მოიცავს შემოსავალს მუნიციპალიტეტებიდან და სხვა საავადმყოფოებიდან, რომლებთანაც ჯგუფს სახელშეკრულებო ურთიერთობა აქვს. მომსახურების გაყიდვის აღიარება ხდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, რომელშიც გაიწია მომსახურება და იანგარიშება სახელშეკრულებო ტარიფების მიხედვით.

ჯანდაცვისთვის მისაღები ანგარიშების საბალანსო ღირებულების შესაძლო გაუფასურება მოწმდება მაშინ, თუ გარკვეული მოვლენები ან გარემოებები მიუთითებს იმაზე, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შეიძლება ვერ მოხერხდეს, და გაუფასურების ზარალი აღირიცხება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

### **საპროცენტო შემოსავალი**

ამორტიზებადი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების, სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში ჩართული პროცენტიანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში, საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ახორციელებს ფულადი სახსრების სავარაუდო შემოდინებების დისკონტირებას ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავლები მოგებაში ან ზარალში შედის ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ნაწილში.

**ჯანდაცვის მომსახურების თვითღირებულება** - ჯანდაცვის მომსახურების ღირებულება წარმოადგენს გაწეული ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებულ შემოსავალთან პირდაპირ დაკავშირებულ ხარჯებს, მათ შორის სამედიცინო პერსონალის ხელფასებსა და გასამრჯელოს, მასალებსა და მარაგებს, კომუნალური მომსახურებისა და სხვა პირდაპირ დანახარჯებს.

**უცხოური ვალუტის კონვერტაცია** - კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც ჯგუფის წარსადგენი ვალუტა და ჯგუფის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი

აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება და ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, სავალუტო ოპერაციებიდან მიღებული წმინდა ზარალის ნაწილში.

გუდვილის აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, და ტოლია წმინდა იდენტიფიცირებადი შეძენილი აქტივებისა და ნაკისრი ვალდებულებების ღირებულების ზემოთ გადახდილი ნამეტი ღირებულებისა (სხვაობა უმცირესობის და მფლობელობაში ადრე არსებულ ნებისმიერ წილში გადახდილ და ნაკისრი ანაზღაურების ჯამს და წმინდა შეძენილ აქტივებსა და ნაკისრ ვალდებულებებს შორის). თუ შეძენილი წმინდა აქტივების რეალური ღირებულება მეტია მთლიანად გადახდილ ანაზღაურებაზე, ჯგუფი ხელახლა აფასებს, სწორად განისაზღვრა თუ არა ყველა შეძენილი აქტივი და ნაკისრი ვალდებულება და გადასინჯავს შეძენის თარიღისთვის საღირებელი თანხების შესაფასებლად გამოყენებულ პროცედურას. თუ ხელახალი შეფასების შედეგად წმინდა აქტივების რეალური ღირებულება მაინც გადააჭარბებს მთლიანად გადახდილ კომპენსაციას, მაშინ ხდება მოგების აღიარება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის სახით. ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი

მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) შედის იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როდესაც ხდება აქტივის აღიარების შეწყვეტა.

### მეკავშირე საწარმოებში ინვესტირება

ჯგუფის ინვესტიცია მეკავშირე საწარმოში აღირიცხება კაპიტალ-მეთოდით. ჯგუფის მოგების ან მეკავშირე საწარმოს ზარალის წილი აღირიცხება მოგების ან ზარალის ანგარიშგებაში საოპერაციო მოგებისგან განცალკევებით და წარმოადგენს დაბეგრულ მოგებას ან ზარალს და არამაკონტროლებელი წილი მეკავშირე საწარმოს შვილობილ კომპანიებში.

2018 წლის 5 აგვისტოს სს ჰოსპიტალმა შეიძინა შპს №2 საავადმყოფოს კაპიტალის 35 % და მოიპოვა მნიშვნელოვანი გავლენის უფლება. განხორციელებული ინვესტიციის თვითღირებულება 6,754 ათასი ლარია, ხოლო მეკავშირე საწარმოს გაუნაწილებელი მოგება შეძენის დროს შეადგენდა 2,200 ათას ლარს, წლის ბოლოს იგივე მაჩვენებლის ოდენობა \_ 3,900 ათას ლარი იყო. დადგინდა, რომ წლის განმავლობაში არანაირ გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია. შესაბამისად, მეკავშირე საწარმოში ინვესტიციის საბალანსო ღირებულება სს ჰოსპიტალმა შემდეგნაირად გამოთვალა:

(ათასი ლარი)

ინვესტიციის თვითღირებულება მიმდინარე წლის აგვისტოში 6,754 ათასი ლარი

წილი შეძენის შემდგომ მოგებაში  $(3,900 - 2,200) * 35\% = 350$  ათასი ლარი

ინვესტიციის ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერს 7,104 ათასი ლარი.

მეკავშირე საწარმოს ფინანსური ანგარიშგება მზადდება ჯგუფის საანგარიშგებო პერიოდის შესაბამისად. საჭიროების შემთხვევაში ხდება შვილობილი კომპანიების ფინანსური ანგარიშგების დაკორექტირება, რათა მათი სააღრიცხვო პოლიტიკა შესაბამისობაში მოვიდეს ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკასთან. თითოეული საანგარიშგებო თარიღისათვის, ჯგუფი აფასებს, არსებობს თუ არა მეკავშირე საწარმოში განხორციელებული ინვესტიციის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება. ასეთი ობიექტური მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში ჯგუფი გამოთვლის გაუფასურების ღირებულებას მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივი საწარმოს ანაზღაურებად ღირებულებასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით, და აღიარებს ზარალს მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მეკავშირე საწარმოს მოგების წილის ნაწილში. მეკავშირე საწარმოზე მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის შემთხვევაში, ჯგუფი ახდენს გაუნაწილებელი ინვესტიციის შეფასებასა და აღიარებას რეალური ღირებულებით. მნიშვნელოვანი გავლენის დაკარგვის მომენტისთვის მეკავშირე საწარმოს საბალანსო ღირებულებასა და გაუნაწილებელი ინვესტიციისა და გასვლის ამონაგების რეალურ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. მეკავშირე საწარმო არ მიიჩნევა ჯგუფის წევრად და ამიტომ მეკავშირე საწარმოსა და ჯგუფის წევრს შორის სავაჭრო ურთიერთობებით წარმოქმნილი დებიტორ-კრედიტორული ნაშთები არ ანულირდება და რჩება კონსოლიდირებულ ბალანსში. მეკავშირე საწარმოდან მიღებული დივიდენდები გამოირიცხება კონსოლიდირებული მოგებისა და ზარალის ანგარიშგებიდან და მის ნაცვლად აისახება ჯგუფის წილი მეკავშირე საწარმოს მოგებაში.

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. გადავადებული მოგების გადასახადები გათვალისწინებულია ყველა დროებით სხვაობაზე, რომელიც წარმოიშობა აქტივებისა და

ვალდებულებების საგადასახადო დასაბეგრ საფუძველსა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გადავადებული მოგების გადასახადი წარმოიშობა გუდვილის პირველადი აღიარებიდან ან აქტივისა და ვალდებულებიდან იმ გარიგებაში, რომელიც არ არის საწარმოთა გაერთიანება და ოპერაციის თარიღისათვის გავლენას არ იქონიებს სააღრიცხვო მოგებასა თუ საგადასახადო მოგება-ზარალზე.

### **გასაყიდად გამიზნული შვილობილი საწარმო**

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების მოზმადებისას შესაძლოა დადგეს შემდეგი დღისწესრიგი: საწარმომ შეისყიდა ჯგუფი, ერთი ან მეტი შვილობილი საწარმოთი, რომლებიც არ შედიოდა მის სტრატეგიულ გეგმებში და ამდენად, მოსალოდნელია მისი გაყიდვა. ამ დროს შვილობილი საწარმო შესაძლოა კლასიფიცირდეს „გასაყიდად გამიზნულად“. ამ დროს ფასს 5 –“გასაყიდად გამიზნული გრძელვადიანი აქტივები და შეწყვეტილი ოპერაციების“ შესაბამისად, ის მაინც უნდა ჩაირთოს კონსოლიდაციაში, მაგრამ უნდა აისახოს ამ სტანდარტის მიხედვით. მშობელი საწარმოს წილი ცალკე იქნება წარმოდგენილი, როგორც ერთი ციფრი, უშუალოდ კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს მისი კონსოლიდაცია სხვა შვილობილი საწარმოების მსგავსად.

### **2.3. კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

ფულადი ნაკადების ანგარიშგების მეშვეობით ფინანსური ინფორმაციის მომხმარებლები იღებენ ინფორმაციას საწარმოს ფულადი სახსრებისა და მათ ექვივალენტებში მომხდარი ცვლილებების შესახებ. მასში გამოყოფილია ფულადი სახსრები, რომლებიც გადინებული/შემოდინებულია საწარმოს საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობის შედეგად. უშუალოდ საწარმოს

ხელმძღვანელობა მუდმივად თვალს ადევნებს ფულადი ნაკადების მოძრაობას , რადგან მასი მეშვეობით შესაძლებელია:

- ბალანსის ლიკვიდურობის რეგულირება;
- შეფასდეს საწარმოს მოკლე და გრძელვადიანი გადახდისუნარიანობა;
- ეკონომიკური ზრდის პროგნოზირება;
- დადგინდეს, შეძლებს თუ არა საწარმო კრედიტებისა და დივიდენდების გადახდას;
- განისაზღვროს საწარმოს მოთხოვნები დამატებით დაფინანსებაზე;

ხშირად არის სიტუაცია, როდესაც საწარმოს არა აქვს ფული, მაგრამ აქვს მოგება ან , პირიქით, აქვს ფულადი სახსრები, მაგრამ არა აქვს მოგება. მოგება ასახავს გარკვეული დროის განმავლობაში საწარმოს მიერ მიღებულ წმინდა შემოსავალს, რომელიც არ ემთხვევა ამ პერიოდში ფულადი სახსრების რეალურ შემოსვლას. ამ სპეციფიკის გამო, ხშირად , მოგების ციფრი შეცდომაში შემყვანია დაუკვირვებელი მომხმარებელისთვის, მაშინ როცა ფულადი ნაკადების ანგარიშგება უფრო მარტივად აღსაქმელია და გვაძლევს ფულად თანხებთან ერთად ოპერაციების შინაარსსაც.

პრაქტიკაში იყენებენ ფულადი ნაკადების გამოანგარიშების ორ მეთოდს - პირდაპირსა და არაპირდაპირს. პირდაპირი მეთოდის გამოყენებისას ნაჩვენებია ფულადი სახსრების შემოსავლისა და გასავლის მთლიანი ნაკადები, ძირითადი კატეგორიების მიხედვით. ამავე დროს ოპერაციები ჯგუფდება საქმიანობის სამი სახის მიხედვით:

**საოპერაციო საქმიანობა** - საწარმოს ძირითადი შემოსავლების მომტანი და სხვა საქმიანობა, რომელიც არ არის საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობა:

ა) საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ბ) როიალტებიდან, ჰონორარებიდან, საკომისიო გადასახდელებიდან და შემოსავლებიდან მიღებული ფულადი სახსრები;

გ) საქონელსა და მომსახურებაზე მომწოდებლისათვის გადახდილი ფულადი სახსრები;

დ) თანამშრომლებისათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები;

ე) სადაზღვეო საწარმოსათვის სადაზღვეო პრემიებითა და პრეტენზიებით, ანუიტეტებითა და სხვა სადაზღვეო დახმარებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები;

ვ) მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრების გადახდა ან დაბრუნება, თუ იგი დაკავშირებული არ არის საფინანსო და საინვესტიციო საქმიანობასთან;

ზ) კომერციული გარიგებისა და სავაჭრო მიზნით დადებული კონტრაქტებით მიღებული და გადახდილი ფულადი სახსრები.

**საინვესტიციო საქმიანობა** - გრძელვადიანი აქტივებისა და იმ სხვა ინვესტიციათა შეძენა და რეალიზაცია, რომლებსაც არ მოიცავს ფულადი სახსრების ეკვივალენტები:

ა) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები. ამაში ასევე შედის სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებზე გაწეული კაპიტალიზებული დანახარჯები და საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებები;

ბ) ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

გ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები;

დ) სხვა საწარმოების საკუთარი კაპიტალის ან სასესხო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის რეალიზაციიდან მიღებული ფულადი სახსრები;

ე) სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები;

ვ) სხვა პირებზე გაცემული ავანსებისა და სესხების დასაფარად მიღებული ფულადი სახსრები;

ზ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით გადახდილი ფულადი სახსრები;

თ) ფიუჩერსული, ფორვარდული, საოფციო და სვოპკონტრაქტებით მიღებული ფულადი სახსრები

#### **ფინანსური საქმიანობა :**

ა) ოპერაციები კორპორაციის მოკლევადიან დაფინანსებაზე: კრედიტები და სესხები;

ბ) აქციათა რეალიზაცია და შესყიდვა;

გ) ობლიგაციური სესხები და მათი დაფარვა;

დ) სავალუტო ოპერაციები;

ე) ვექსელებზე, საგირავნოებზე (იპოთეკური დაკრედიტებისას) ვალდებულებათა დაფარვა და სხვ.

ფინანსური საქმიანობის შედეგად რაოდენობრივად და სტრუქტურულად იცვლება საწარმოს საკუთარი კაპიტალი და ნასესხები საშუალებები.

არაპირდაპირი მეთოდის მიხედვით წმინდა მოგება ან ზარალი კორექტირდება არაფულადი ოპერაციების შედეგებით, წარსულში ან მომავალი პერიოდის საოპერაციო შემოსავლებისა და გადახდების გადავადების ან დარიცხვის გათვალისწინებით, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ან საფინანსო საქმიანობის ფულადი სახსრების ნაკადებთან.

სს ჰოსპიტალის შვილობილი კომპანიის შპს „მედიკ-ლაინის“ ფულადი ნაკადების ანგარიშგება შემდეგი სახისაა:

**შპს „მედიკ-ლაინი“**

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	1,903
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება	(3,147)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(913)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(563)
მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	205
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(2,515)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები	
ძირითადი საშუალებების შეძენა	(198)
არამატერიალური აქტივების შეძენა	(19)
სხვა საინვესტიციო საქმიანობა	(1,500)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,717)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები	
აღებული სესხები	4,612
ნასესხები სახსრების დაფარვა	(423)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	4,189
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)	(43)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	105
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს	62

განხილული საწარმოს კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება პირდაპირი მეთოდითაა წარმოდგენილი. შიდასაფინანსო სისტემაში, როგორც წესი, ფულადი ნაკადები გამოთვლილია პირდაპირი მეთოდით. ეს მეთოდი შესაძლებლობას იძლევა შევაფასოთ საწარმოს გადახდისუნარიანობა, აგრეთვე, განხორციელდეს ოპერატიული კონტროლი ფულადი სახსრების შემოსვლასა და ხარჯვაზე.

ჯგუფის ფინანსურ მდგომარეობასა და ფულადი ნაკადების მოძრაობაზე მოქმედებს სავალუტო კურსების მერყეობა. ჯგუფის ძირითადი გარიგებები ლარში ხორციელდება და სავალუტო რისკი ძირითადად აშშ დოლართან მიმართებაში აქვს. ჯგუფის ფინანსური აქტივები ძირითადად გამოხატულია იმავე ვალუტაში, რაშიც მისი ვალდებულებები, კერძოდ, ჯგუფის კომპანიების სამუშაო ვალუტაში - ლარში. ჯგუფის ოპერაციების უმეტესობაც ლარშია გამოხატული. ეს ამცირებს ოპერაციებთან დაკავშირებულ სავალუტო რისკს. სავალუტო რისკს ძირითადად განაპირობებს აშშ დოლარში გამოხატული ნასესხები სახსრები.

სს ჰოსპიტალი რეგულარულ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და საწარმოს ლიკვიდურობას. ლიკვიდურობის რისკი ნიშნავს იმას, რომ ჯგუფმა ვერ შეძლოს ნორმალურ ან სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ყველა თავისი ფინანსური ვალდებულების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა თავისი კაპიტალის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდურობის გათვალისწინებით, რაც საჭიროებს მოსალოდნელი ფულადი ნაკადებისა და

ლიკვიდურობის ყოველდღიურ მონიტორინგს. ჯგუფი მართავს თავისი აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობას მათი უკეთესად დაბალანსებისთვის, ეს მას ეხმარება ლიკვიდურობის რისკის კიდევ უფრო შემცირებაში. ჯგუფის წინაშე მდგარი ყველაზე დიდი ლიკვიდურობის რისკები არის მისი ხელმისაწვდომი ფულადი რესურსების ყოველდღიური საჭიროება მომწოდებლებთან გაფორმებული კონტრაქტების და ნასესხები სახსრების დაფარვის ვადის მოსვლის გამო.

სს ჰოსპიტალის ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის	2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
<b>ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან</b>		
ჯანდაცვის მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი	237,640	214,965
ჯანდაცვის მომსახურების გადახდილი თვითღირებულება	(142,822)	(136,790)
გადახდილი ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(33,873)	(21,080)
გადახდილი ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	(15,418)	(16,248)

მიღებული სხვა საოპერაციო შემოსავალი	2,809	1,445
გადახდილი სხვა საოპერაციო ხარჯები	(4,889)	(936)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები მოგების გადასახადის გადახდამდე</b>	<b>43,447</b>	<b>41,356</b>
გადახდილი მოგების გადასახადი	(268)	(1,841)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>43,179</b>	<b>39,515</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები</b>		
შვილობილი კომპანიების შესყიდვა, მიღებული ნაღდი ფულის გამოკლებით	(11,053)	(24,827)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(74,877)	(104,001)
საკრედიტო დაწესებულებებისგან მისაღები თანხების განთავსება	(5,865)	–
არამატერიალური აქტივების შეძენა	(6,255)	(9,353)
გაცემული სესხები	–	(39,270)
სესხების დაფარვისთვის მიღებული შენატანები	13,714	19,926
შესყიდული სესხები	–	(1,531)
მიღებული საპროცენტო შემოსავალი	552	735
შემოსავალი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	9,792	174
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>(73,992)</b>	<b>(158,147)</b>
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული</b>		

<b>ფულადი ნაკადები</b>		
საწესდებო კაპიტალის ზრდა	–	48,841
დამატებითი წილის შესყიდვა არსებულ შვილობილ კომპანიებში	–	(2,472)
სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვება	89,011	–
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვა	(34,197)	(3,497)
აღებული სესხები	76,796	135,877
ნასესხები სახსრების დაფარვა	(63,538)	(85,427)
ფინანსური იჯარის ვალდებულებების დაფარვა	(3,110)	–
საქართველოს ჯანდაცვის ჯგუფის აქციების შესყიდვა	(1,950)	(2,310)
გადახდილი საპროცენტო ხარჯი	(14,102)	(15,883)
<b>ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები</b>	<b>48,910</b>	<b>75,129</b>
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	(71)	3,646
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(კლება)</b>	<b>18,026</b>	<b>(39,857)</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის დასაწყისში</b>	<b>11,177</b>	<b>51,034</b>
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, პერიოდის ბოლოს</b>	<b>29,203</b>	<b>11,177</b>

## დასკვნა

საწარმოთა კონსოლიდაცია ერთ-ერთი რთული პროცესია აღრიცხვის კუთხით, ამიტომ აუცილებელია, რომ საწარმომ, რომელიც წარადგენს კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, იხელმძღვანელოს საერთაშორისო სტანდარტებით. საწარმოთა კონსოლიდაციის სწორად აღრიცხვისათვის განსაკუთრებით მნიშვნელობანია, რომ მშობელმა საწარმომ ზედმიწევნით დაიცვას ის მოთხოვნები და მითითებები, რასაც გვთავაზობს ფასს 10 - „კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება“. სტანდარტის მიზანია, განსაზღვროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისა და მომზადების პრინციპები ისეთი შემთხვევებისთვის, როდესაც საწარმო აკონტროლებს ერთ ან რამდენიმე სხვა საწარმოს. არანაკლებ მნიშვნელოვანია ფასს 3-ის მოთხოვნების დაცვა. ფასს 3-ის, „ საწარმოთა გაერთიანება“, მიზანია გააუმჯობესოს იმ ინფორმაციის შესაბამისობა, საიმედოობა და შესადარისობა, რომელსაც ანგარიშვალდებული სამეურნეო ერთეული წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში საწარმოთა გაერთიანების შესახებ. გარდა ფასს 10-ის და ფასს 3-ისა, მშობელ და შვილობილ საწარმოებს კიდევ მრავალი საერთაშორისო სტანდარტისა თუ ცალკეული ასპექტის შესრულება ევალებათ, სწორედ ამიტომ ნაშრომი თავს უყრის ყველა იმ თანამედროვე მოთხოვნას, რომლითაც უნდა იხელმძღვანელონ და გაითვალისწინონ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენისას.

ნაშრომში განხილულია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსი და შედგენის აუცილებლობა, მისი შედგენის პრინციპები და მეთოდები, ასევე ის გზები, რომელთა გავლაც აუცილებელია იმისთვის რომ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იყოს სასარგებლო მისი მომხმარებლისთვის. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს უნდა შეეძლოთ ობიექტური ინფორმაციის აღქმა ჯგუფში არსებული ფინანსური მდგომარეობის შესაფასებლად, მათ უნდა შეეძლონ , დაინახონ ერთ სამეურნეო ორგანიზმად მშობელი და მისი შვილობილი კომპანიები, თითქოს ისინი განცალკევებული იუდიული პირები არც არიან.

ნაშრომში წარმოდგენილია კონკრეტული, ქართულ ბაზარზე მოქმედი ფირმის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის, მოგება-ზარალის და ფულადი ნაკადების ანგარიშგება, რასაც ეტაპობრივად თან ერთვის საუბარი ანგარიშგებების კონსოლიდირებულ მუხლებზე და იმ შენიშვნებზე, რომლებიც წარმოიშვა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენის დროს. კერძოდ, სს ჰოსპიტალის ანგარიშგებებიდან ირკვევა, რომ ის მათი წარდგენისას კონსოლიდაციის მოთხოვნებს ითვალისწინებს. სს ჰოსპიტალის კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგებების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად. სს ჰოსპიტალის და მისი შვილობილი კომპანიების სააღრიცხვო პოლიტიკა ერთნაირია, მშობელი და შვილობილი საწარმოების ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ერთი და იმავე საანგარიშგებო თარიღით. ასევე ჩანს, რომ შეძენის მომენტში მშობელი კომპანია აღიარებს წარმოქმნილ გუდვილს. სს ჰოსპიტალი ყოველწლიურად ატარებს გუდვილის გაუფასურების ტესტირებას. სტანდარტების მიხედვით აქვს ასახული ძირითადი საშუალებების გაუფასურება, ასევე ინვესტირება მეკავშირე საწარმოში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სს ჰოსპიტალის ანგარიშგებებში გადაჭრილია კონსოლიდირებული ანგარიშგების შედგენისათვის მნიშვნელოვანი ამოცანები:

- ერთიანი მმართველობითი პოლიტიკის შემუშავება
- ერთიანი სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება
- ერთიანი სტრუქტურისა და ერთიანი ანგარიშთა-გეგმის შემუშავება

ყოველივე ამის შედეგად კი ნაშრომში ობიექტურად არის ასახული ეკონომიკური სუბიექტის ერთიანი სურათი.

## გამოყენებული ლიტერატურა

1. ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალური საფუძვლები, 2015წ;
2. ფასს 3 – საწარმოთა გაერთიანება, 2015წ;
3. ფასს 9 – ფინანსური ინსტრუმენტები, 2015წ;
4. ფასს 10 – კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, 2015წ;
5. ფასს 12 – განმარტებითი შენიშვნები სხვა საწარმოებში მონაწილეობის შესახებ, 2015 წ;
6. ფასს 13 – რეალური ღირებულების შეფასება, 2015წ;
7. ბასს 8 – „სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები, 2015წ;
8. ბასს 27 – ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, 2015წ;
9. ბასს 28 – ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში, 2015წ;
10. ბასს 36 – აქტივების გაუფასურება, 2015წ;
11. ბასს 37 – ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები; 2015წ;
12. კორპორაციული ანგარიშგება, კვატაშიძე. ნ, თბილისი, 2018;
13. [https://saras.gov.ge/Content/files/2017\\_Conceptual\\_Framework.pdf](https://saras.gov.ge/Content/files/2017_Conceptual_Framework.pdf) : სასარგებლო ფინანსური ინფორმაციის ხარისხობრივი მახასიათებლები;
14. <http://press.tsu.edu.ge/lessons/internetgak/ biznesi%20da%20ekonomika/X5.2.htm> : ხარაბაძე. ე, ბუღალტრული აღრიცხვა, თბილისი, 2009.